გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

60 თვითრი

№118 (1144) 20 - 22 ნოემბერი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ბატონიშვილების უახლესი ისტორიის არქივები და ქართველი ბავშვების თანადგომა

გვ. 12

გიორგი საგარეიშვილის აღიარება



თავისუფალი დემოკრატების დიდერი პარტიის მთავარ შეცდომაზე საუბრობს

გვ. 3-4

რატომ

გამოაგდეს „ოცნებიდან“ ტოვებენ პარტიას ნევრები უჭერს მხარს „უცნობს“ არ მივა „რუსთავი 2“-ის აქციაზე

ინტერვიუ ბრაზილიის ახალ ელჩთან

გვ. 7

რატომ აპირებს საქართველოში ბრაზილიელი დიპლომატების ჩამოყვანას სისერო მარტინს გარისა

„ულრსი კონტრაქტორების“ სკანდალი

რა კავშირი აქვს სპორტის მინისტრის მოადგილეს „არენა მშენთან“, რომელსაც ნარმანიამ ხელშეკრულება შეუწყვიტა

გვ. 5

ევროკავშირი წლის ბოლოს უვიზო მიმოსვლის გადაწყვეტილებას მიიღებს

ჯარისკაცები, პოლიციელები, პედაგოგები, ექიმები — რეალურად ვის გაეზარდა ხელფასი

ირაკლი წერეთელი საქართველოში ნატო-ს სამხედრო კონტინგენტის განთავსების მოთხოვნით შიმშილობს



ნინო კომახიძე
599-95-33-16

ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერი ირაკლი წერეთელი შიმშილობს. ბოლო შიმშილობა მან სულ რამდენიმე თვის წინ მოაწყო, როცა ექსპრეზიდენტ სააკაშვილს უცხადებდა სოლიდარობას, მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტას ითხოვდა და სააკაშვილის საქართველოში დაბრუნება სურდა. ამჯერად, წერეთელი ძირითად მოთხოვნებს ამერიკის შეერთებულ შტატებს, დასავლეთსა და დიდი ბრიტანეთს უყენებს, ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნას აანონსებს და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ მასშტაბური აქციებით იმუქრება. ამ მოთხოვნების შესახებ „ვერსიას“ ირაკლი წერეთელი ესაუბრება.

— უკვე მეხუთე დღეა შიმშილობთ. ამჯერად, რატომ მიიღეთ პროტესტის ამ ფორმით გამოხატვის გადაწყვეტილება?

— ჩემი შიმშილობის მთავარი მიზეზი ის რეალური საშიშროებაა, რომელიც ქართველი ერის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ემუქრება და რომელიც სისხლითა და ბრძოლით მოიპოვა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ. საქართველოს ხელისუფლების მარიონეტული პოლიტიკა და ცივილიზებული დასავლეთის სახელმწიფოების ლიდერების ძალიან რბილი პოლიტიკა რუსეთის მიმართ, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას საფრთხეს უქმნის. ამიტომაც ვაცხადებ შიმშილობას კონკრეტული სტრატეგიული მოთხოვნებით და მივმართავ აშშ-ს, დიდ ბრიტანეთსა და ნატო-ს წევრ ქვეყნებს: 1. საქართველოში აშშ-ს სამხედრო ბაზები უნდა გაიხსნას და ჩვენს ტერიტორიებზე მათი შეიარაღებული ძალების კონტინგენტები შემოვიდეს. ეს პრობლემა თუ მოგვარდება, რუსეთი საქართველოში ვეღარ შემოვა; 2. 2016 წელს, ვარშავაში სამიტია დაგეგმილი და ვითხოვ, ნატო-ს ამ სამიტზე მაინც მიიღონ საქართველო ნატო-ში და შეწყდეს ჩვენი არმიღების ეს სამარცხვინო პროცესი; 3. დასავლეთის ქვეყნებმა, დიდმა ბრიტანეთმა და ამერიკამ, საქართველოსთან ერთად, რუსეთი ოფიციალურად უნდა ცნონ დამნაშავე და აგრესორ სახელმწიფოდ და მასთან პოლიტიკურ-სამართლებრივი ანგარიშსწორება მოხდეს, აგრესიის შესახებ საერთაშორისო კონვენციების საფუძველზე; 4. აშშ-მ ბრიტანეთმა და ცივილიზებულმა მსოფლიომ საქართველოს ერთადერთ ლეგიტიმურ კონსტიტუციად 1921 წლის დოკუმენტი უნდა აღიაროს და მისი შესრულების ვალდებულება სცნოს, რადგან დღევანდელი კონსტიტუცია არალეგიტიმური და უკანონოა.

— ამ მოთხოვნების ფონზე, საქართველოს ხელისუფლებასთან პრეტენზიები არ გაქვთ?

— ცხადია, მაქვს. უბრალოდ, ჯერ ბოლომდე არ ჩამოვყალიბებულვარ და ეს მოთხოვნები უახლოეს დღეებში დაიდება. ჩვენს ხელისუფლებას ისეთი მოთხოვნებით მივმართავ, რომელთა გადაწყვეტაც შეუძლია, თორემ რუსეთსა და ნატოსთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას ჩვენი მშიშარა ხელისუფლება ვერ შეძლებს. მათთან უფრო ადგილობრივი, სოციალური და კულტურული ხასიათის მოთხოვნები მაქვს.

— შიმშილობა რამდენ ხანს გასტანს?

— არ ვიცი. შეიძლება, ამ შიმშილობას შევეწირო კიდეც. ეს ძალიან ხანგრძლივი პროცესი იქნება და ჯერ ვერ გეტყვით, როგორ განვითარდება მოვლენები. ახლა ჩვენთან, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ატლანტიკური მოძრაობის საფუძველზე, იქმნება საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურა, რომელსაც დამოუკიდებლობის დაცვისა და აგრესიის აღკვეთის კომიტეტი დაექმევა და მოვითხოვთ, მასთან ქვეყნების შესაბამისმა უწყებებმა ოფიციალურ დონეზე ითანამშრომლონ. ამ კომიტეტს, უპირველესად, ჩემი მეგობრები შემოუერთდებიან და მე მათ სიას გამოვაქვეყნებ. ასევე, ჩვენ უნდა შემოგვიერთდეს ყველა, ვისაც რუსეთი აგრესორ ქვეყნად მიაჩნია. მინდა, მის წინააღმდეგ ბრძოლა გაფართოვდეს, ამიტომ ყველას ვთხოვ, სოლიდარობა გამოხატოს და დოკუმენტზე ხელი მოგვიწეროს. ეს კომიტეტი 23 ნოემბრისთვის შეიქმნება, გიორგობას. ყველა ქართველს უნდა ვთხოვო, შემოგვიერთდეს, ვისაც საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება, ქვეყნის დეოკუპაცია და დეანექსია სურს, არ უნდა რუსულ სივრცეში საქართველოს დაბრუნება და ნატო-ში გაწევრიანებას უჭერს მხარს. ყველა ქართველი, დროებით მაინც, ერთ, ატლანტიკურ მოძრაობაში უნდა გაწევრიანდეს, რათა 2016 წელს, წინასაარჩევნოდ დიდი გამოსვლები მოეწყოს, დავაფიქსიროთ ჩვენი ნება და 2016 წლის არჩევნებზე საბოლოოდ დავამარცხოთ როგორც ეს ხელისუფლება, ისე პრორუსული პოზიციები, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, ბოლო დროს ძალიან გაძლიერდა საქართველოში. ეს დღევანდელი და წინა ხელისუფლებების და სხვათა შორის, დასავლეთის დღევანდელი პოლიტიკური ლიდერების მშიშარა და არაპრინციპული პოზიციების ბრალია. სოლიდარობას ვუცხადებთ ფრანგ ერს და კატეგორიულად მოვითხოვთ ისლამური სახელმწიფოს ფიზიკურ განადგურებას, სასწრაფო წესით!

— ისე, ბატონო ირაკლი, პროტესტის ამ ფორმას, შიმშილობას ხშირად მიმართავთ. ოდესმე რეალური შედეგი თუ გამოუღია, მით უმეტეს, როცა ასეთი განსაკუთრებული მოთხოვნები გაქვთ?

— საქმე ისაა, რომ ჩემი მოთხოვნები სტრატეგიული ხასიათისაა და სწრაფ შედეგს არც ველით. თუმცა ხომ ფაქტია, რომ დასავლეთის ყურადღებას ვიპყრობთ. როცა მერაბ კოსტავასა და ჩემს მეგობრებთან ერთად, საქართველოს დამოუკიდებლობასა და ნატოში მის ინტეგრაციაზე ვსაუბრობდით, ხალხი სიცილით კვდებობდა. ეროვნული მოძრაობის პოლიტიკოსების უმრავლესობასაც კი ამის არ სჯეროდა, მათ შორის, არც ზვიად გამსახურდიას, თუმცა ეს ძალიან სურდა. დღეს კი საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხი უკვე რეალურად დგას დღის წესრიგში. ამიტომ ამ პროცესის დაჩქარება გვსურს!

უსაფრთხოების საბჭოზე სასაზღვრო რეჟიმის გამკაცრების ღონისძიებები დაიგეგმა

პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს სხდომა გაიმართა. მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, სხდომაზე, მსოფლიოსა და რეგიონში შექმნილი ახალი ვითარების კონტექსტში, ქვეყანაში არსებული უსაფრთხოების საკითხები განიხილეს. საბჭოს წევრებმა უსაფრთხოების თვალსაზრისით ქვეყანაში არსებული პრევენციული ღონისძიებების უფრო გაძლიერებასა და უსაფრთხოების დამატებითი ზომების მიღებაზე ისაუბრეს. დაიგეგმა სასაზღვრო რეჟიმის და სტრატეგიული ობიექტების კონტროლის გამკაცრების ღონისძიებები. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლა სტრატეგიულ პარტნიორებთან მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს. სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს სხდომას საგარეო საქმეთა მინისტრი, ვიცე-პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი, თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანი მინდია ჯანელიძე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი ვახტანგ გომელაური, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელი ანზორ ჩუბინიძე, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უფროსი დავით სუჯაშვილი და პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი დაესწრნენ.

პრემიერ-მინისტრმა დიდი ბრიტანეთის ყოფილ პრემიერს სამუშაო ვახშამზე უმასპინძლა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა სამუშაო ვახშამზე უმასპინძლა დიდი ბრიტანეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერს, რომელიც თბილისს, ირაკლი ღარიბაშვილთან შესახვედრად, რამდენიმე საათით სტუმრობდა.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრის მთავარი თემები საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმები, მსოფლიოსა და რეგიონში არსებული ვითარება იყო.

ტონი ბლერმა და ირაკლი ღარიბაშვილმა ფუნიკულიორის ტრამვაით იმგზავრეს და თბილისის ხედები დაათვალიერეს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ ტონი ბლერმა საქართველო დატოვა. დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ირაკლი ღარიბაშვილმა გააცილა და სტუმრობისთვის მადლობა გადაუხადა.

საქართველოს სან მარინოს საგარეო საქმეთა მინისტრი ეწვევა

20 ნოემბერს, საქართველოს, ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით სან მარინოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, პასკუალე ვალენტინი ეწვევა.

კოლეგას საქართველოს ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი უმასპინძლებს. ოფიციალური შეხვედრა საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართება, რის შემდეგაც დაგეგმილია მინისტრების პრესკონფერენცია. ვიზიტის ფარგლებში მინისტრები ხელს მოაწერენ ურთიერთგაგების მემორანდუმს სან მარინოს რესპუბლიკისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის.

ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში პასკუალე ვალენტინი საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს და პარლამენტის თავმჯდომარეს შეხვდება.

სან მარინოს საგარეო საქმეთა მინისტრი მოინახულებს საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ ხურვალეთს, პატივს მიაგებს საქართველოსათვის დაღუპულ გმირთა მემორიალს და ესტუმრება საქართველოს ეროვნულ მუზეუმს.

ეს სან მარინოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი ოფიციალური ვიზიტია საქართველოში.

„პია“

ვერსიანიუსი

საპროკურორო საბჭომ მთავარი პროკურორის კანდიდატად ირაკლი შოთაძე აირჩია

მთავარი პროკურორობის კანდიდატად ირაკლი შოთაძე ხმათა უმრავლესობით აირჩიეს. მას ხმა საპროკურორო საბჭოს 15 წევრიდან 13-მა მისცა.

საბჭოს ერთმა წევრმა ხმა არცერთ კანდიდატს არ მისცა. ასევე, საბჭოს მეთხუთმეტე წევრის ბიულეტენი, რომელიც არჩევნებზე არ იმყოფებოდა, გაუქმდა.

ფარული კენჭისყრის წესით, საპროკურორო საბჭომ მთავარი პროკურორის არჩევა უკვე დაასრულა. თითოეულ კანდიდატს კენჭი ცალ-ცალკე უყარეს.

„პია“

საქართველოს პრეზიდენტმა უშიშროების საბჭო მოიწვია

საქართველოს პრეზიდენტმა უშიშროების საბჭო 4 დეკემბერს დანიშნა. უშიშროების საბჭოს წარმომადგენლების ინფორმაციით, სხდომა 4 დეკემბერს 16:00 საათზე, საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციაში გაიმართება.

სხდომაზე, უშიშროების საბჭოს 23 სექტემბრის გადაწყვეტილების თანახმად, ერთობლივი მუშაობის შედეგად გამოვლენილი საფრთხეების საპასუხო ქმედებები და თავდაცვის ორგანიზების სფეროში დაგეგმილი ღონისძიებები განიხილება.

ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან საბჭოს მუდმივი წევრები.

„პია“

გიორგი ცაგარეიშვილის აღიარება

თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ღიდერი პარტიის მთავარ შეცდომაზე საუბრობს

ნინო კომახიძე
599-95-33-16

კარგა ხანია, ირაკლი ალასანიას პარტიაზე ჭორები ვრცელდება — ხან იშლებიანო, ხან ლიდერები ტოვებენო, ხანაც, ნაციონალებს ეკვრებიანო... ამ ხმებს კი, ყველაზე ხშირად, თავისუფალი დემოკრატების „ოცნებაში“ გადასული ექსწევრები ავრცელებენ. თუმცა პარტიაში ახალ ოფისებს ხსნიან, აცხადებენ, რომ დამფინანსებლები იშოვეს და 2016 წლის არჩევნებშიც მარტო მონაწილეობა აქვთ გადაწყვეტილი. საქალაქო ოფისის ერთ-ერთ ხელმძღვანელთან, დეპუტატ გიორგი ცაგარეიშვილთანაც სწორედ იმის გასარკვევად მივედით, რა ხდება ალასანიას პარტიაში, ბრძოლის რა გზას ირჩევენ, თუკი არც აქციებზე დგომა სურთ და არც მოშიმშილეებთან ჯდომა, რას ნიშნავს ხმები ნაციონალებთან ერთად ახალი კოალიციის შექმნის შესახებ და რა მოხდა სინამდვილეში „ოცნებასა“ და თავისუფალ დემოკრატებს შორის.

— ბატონო გია, გარდა იმისა, რომ თურმე პარტიას თქვენ და ზურაბ ჯაფარიძე ტოვებთ, ვრცელდება ხმები, რომ გაუქმდა თქვენი სენაკისა და ხობის რაიონული ორგანიზაციები და თქვენგან „ოცნებაში“ 150 კაცი გადავიდა. რა ხდება თავისუფალი დემოკრატების თავს?

— ეს ერთი ხელწერაა, რომლითაც სპეცსამსახურები მოქმედებენ და ამ სქემაში გუბერნატორები და გამგებლები არიან ჩართულნი. ისინი ყველაფერს აკეთებენ, რათა მერყეები და მოღალატე ტიპები გამოხშირონ ჩვენი პარტიიდან და „ოცნებაში“ გადაიბირონ. უფასო პიარის არ იყოს, უფასოდ ეძებენ მოღალატეებს ჩვენს რიგებში, რისთვისაც მადლობას ვუხდი. შეუძლიათ გააგრძელონ. უბრალოდ, მწყინს, როცა აღმოვაჩენ, რომ ჩემს გვერდით მდგომი ადამიანი იმ პრინციპებს ღალატობს, რითაც 6 წელია ერთად მოვდივართ. ეს მარტო მათი პრობლემა არაა, ჩვენი ბრალიცაა, მაგრამ ფაქტია, სპეცსამსახურები ჩვენს საკეთებელ საქმეს ნამდვილად აკეთებენ და პარტიაც გვარიანად გამოხშირეს.

— სხვათა შორის, თქვენი ხობის ორგანიზაციის ექსუფროსი, ნუგზარ შუშანია ამბობს, 2016 წელს ნაციონალებთან იქნებიან კოალიციაში და ეს ამბავი რომ გავიგეთ, ამიტომაც წამოვედითო. ეს რას ნიშნავს?

— შუშანია რას ბოდავს, ნაკლებად მაინტერესებს. თუ ჰგონიათ, რომ შუშანიებისა და კალანდარიშვილებისნაირი ხალხი გამოადგებათ, ცდებიან. მოღალატე არავის უყვარს. ეს ყველაფერი იმისთვის სჭირდებათ, თითქოს პარტია ინგრევა და არიქა, ნაციონალებს ვეკვრებით. ხობის, ვანისა თუ ტყიბულის წარმომადგენლები, თურმე ამ ქვეყნის ისეთი გადამკვდარი გულშემატკივრები არიან, ჩვენ გაგვერიდნენ და „ოცნებაში“ გადაბრძანდნენ. ეს იმდენად უნიჭოდ და უტვინოდ დაგეგმეს, სასაცილო გამოვიდა. „ოცნების“ ბანერის წინ დადგნენ და განაცხადეს, პარტიას ვტოვებთ, აწი, თავისუფალი დეპუტატები ვიქნებითო. ასე რომ, ეს თეთრი ძაფით ნაკერი სქემაა. ვიცით, ვინ აიძულა ჩვენი ყოფილი წევრები, პარტიიდან წასულიყვნენ. მაგალითად, ხობში, ბატონი შუშანია პირდაპირ კავშირშია სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილე რუსიასთან, მგონი, მასთან ნათესაური კავშირიც აქვს. ამ ორომტრიალში კალანდარიშვილიც რუსიამ ჩაითრია. ჩვენ კი გვერდით ბრწყინვალე ადამიანი დაგვიდგა, ხვიჩა ჯიშკარიანი, საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე „ოცნებიდან“, რომელიც „ოცნებამ“ თვითონ გადააყენა.

— ეს რა ტრანსფერებია, რა ხდება?

— ის ხდება, რომ ბატონი ჯიშკარიანი სამეგრელოში პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელი იყო, მან „ოცნების“ სახელით მოიგო სენაკში მაჟორიტარული ოლქი და საკრებულოს თავმჯდომარე გახდა, თუმცა მერე თვალში აღარ მოუვიდათ და გადაირჩიეს. მოკლედ, საუბარია, თითოოროლა ადამიანზე და არავითარ 150 კაცზე. ამდენი ხალხი ხობის ან სენაკის ორგანიზაციაში საერთოდ არ გვყოლია. ვიდრე „ოცნება“ ჩვენს რიგებში მოღალატეებს ეძებს, ახლაც, ამ წუთებშიც, ზუგდიდში ახალი საქალაქო ოფისი იხსნება. წლის ბოლოს კი საქალაქო კონფერენცია გვაქვს, 20 დეკემბერს, სადაც ქალაქის ორგანიზაციის გამგეობასა და ხელმძღვანელობას ავირჩევთ. ივნისის მერე რამდენიმე ათასი ადამიანი შემოგვიერთდა და ხომ არ გგონიათ, ეს ხალხი ჩვენც ავტობუსებით დაგვყავს, სხვა პარტიებისა არ იყოს! ფაქტობრივად, დანგრეული საქალაქო ორგანიზაცია ფეხზე დავაყენეთ და ვიდრე სხვები ყბედობდნენ, უცხოურ და ქართულ ორგანიზაციებს ვესაუბრებოდით, მოვიზიდეთ სპონსორები და გადავწყვიტეთ, საქალაქო ორგანიზაციების გამგეობები და თავმჯდომარეები 2-2 წლის ვადით ავირჩიოთ. ვფიქრობ, მომავალი წლის მარტისთვის ეს პროცესი დასრულდება და უკვე იდენტიფიცირებული დელეგატები გვეყოლება გამგეობების მიხედვით. ასე რომ, ვიღაც ყბედობს, ჩვენ კი ჩვენს საქმეს ვაკეთებთ.

— „ოცნებიდან“ გამოხვედით და აშენდით თუ რა ხდება?

— კოალიციას ბევრი ხიბლი აქვს, მაგალითად, შენს გასაკეთებელ საქმეს სხვა აკეთებს, მაგრამ არის საშიშროება, რომ პარტიული განვითარების საშუალება არ გეძლევა და დუნდები. ვაღიარებ, ყველანი ბიძინა ივანიშვილის იმედად ვიყავით და მოვდუნდით, სათანადოდ ვერ გავაგრძელეთ საქმიანობა, რამაც უკუშედეგი გამოიღო. თითქოს, რაღაც თვითშეზღუდვა იყო დაწესებული პარტიულ განვითარებაზე, თორემ ივანიშვილსა და კოალიციას არ უთქვამს, თავისუფალმა დემოკრატებმა განვითარება შეაჩერეთო.

— რატომ, მახსოვს, საპრეზიდენტო არჩევნების წინ გითხრეს, ირაკლი ალასანიას კანდიდატურაზე პარტიის შიგნითაც ნუ ფიქრობთო. ეს ჩარევა არ იყო?

— ეს სულ სხვა რამეა, მანამდე ჩვენთვის პარტიული განვითარება არავის აუკრძალავს. გარდა ამისა, რამდენიმე მინისტრის პორტფელი და კომიტეტის თავმჯდომარეების სავარძლები ავიღეთ, ჩვენი გამგეობა სხვადასხვა სტრუქტურებში, გადანაწილდა და პარტიისთვის დროც აღარ გვრჩებოდა. შესაძლოა, ალღო ვერ ავუღეთ რეალობას, რომ პარტია მისახედი იყო. რად უნდა ივანიშვილს სუსტი პარტიები, ან ის 5 პარტია, ახლა ვინც ჰყავს კოალიციაში — ისინი ჩვენს დღეში არიან. ბუნებრივია, კოალიციაში ბევრად დავსუსტდით, ხოლო რაც კოალიცია დავტოვეთ, მუშაობა გავაძლიერეთ და პარტიას მივაქციეთ ყურადღება. დღეს კი სახეზე გვაქვს სუსტი პარტიები, რომლებიც ვერ შექმნიან ძლიერ კოალიციას. 2011 წელს, როცა ივანიშვილი პირველად ჩაება პოლიტიკაში, ყველანი გამობრძმედილი, ბრძოლაგამოვლილი, კარგი გაგებით, „ნათრევი“ პოლიტიკოსები ვიყავით. ამის მერე კი ბოლომდე მივენდეთ ივანიშვილს. წელიწადი და ორი თვეა, რაც კოალიციიდან გამოვედით და პარტიულად გავძლიერდით. დიახ, ჩვენი რისკია არჩევნებზე მარტო გასვლა, მაგრამ მოგებაც ჩვენი იქნება და წაგებაც.

— ანუ, უკვე გადაწყვეტილი გაქვთ, რომ მარტო გადიხართ?

— მარტო გავდივართ და ვინც ჭორებს გვივრცელებს, ბიულეტენებს კარგად ჩახედონ, სადაც თავისუფალი დემოკრატები მარტო ეწერებიან და არავითარ კოალიციაში არ იქნებიან, მით უმეტეს ნაციონალებთან! ჩვენი და ნაციების კავშირზე საუბარი უდიდესი სიბრიყვეა. ნაციონალური მოძრაობა იყო და არის კრიმინალური დაჯგუფება და ჩემთვის არაფერი შეცვლილა, თუნდაც „ოცნებისგან“ განსხვავებით, რომელიც ახლა ხელისუფლებაში ამ კრიმინალური დაჯგუფების ნამსხვრევებთან ერთადაა და მათ შორის სრული პორტირება-კოაბიტაცია მიდის. აბეზარ ადამიანებს, ერთხელ და სამუდამოდ, ვეუბნები — ვიდრე ამ პარტიაში ვარ, ჩვენი და ნაციონალების კავშირი გამორიცხულია. ეს ნიშნავს, მთელ ჩემს წარსულს ხაზი გადავუსვა. ჯერ კიდევ 2003 წელს, როცა სააკაშვილმა ეს „ბალაგანი“ მოაწყო, ვამბობდი, ეს კაცი ქვეყანას დაღუპავს-მეთქი.

— მაშინ „მრეწველებში“ არ იყავით, რა დაემართათ ახლა თქვენს ყოფილ თანაგუნდელებს, ბატონ გოგი თოფაძეს, რომელიც პარლამენტს ტოვებს?

— მაშინ „მრეწველებში“ ვიყავი, მაგრამ ახლა მათ ნაცვლად ვერ ვისაუბრებ, იმ წლებში კი, შეიძლება ითქვას, გადავრჩით, რადგან, როცა სააკაშვილს ვეწინააღმდეგებოდით, სადისტრიბუციო მანქანების გვილენავდნენ, დაგვდევდნენ. ამ დროს, დემოკრატიის ბაირაღებით მოვიდნენ ეს ყაჩაღები და ნაძირლები. ვაკელი ვარ, ამით დიახაც, ვამაყობ და ისეთ წრეში გავიზარდე, რომლისთვისაც ნაციონალური მოძრაობა მიუღებელია, ასე რომ, ვინც ამას დაიჯერებს, ბრიყვი და უტვინოა. ვაღიარებ, შარიანი კაცი ვარ, ფათერაკებით სავსე გზა გამოვიარე, ამიტომ იმის თქმის უფლება მაქვს, რომ ვინც მე დღეს „ნაცებთან“ კავშირს მაბრალებს, ნაცების დროს მაგიდის ქვეშიდან ვერ გამოვაძვრინე, ისე თრთოდნენ და კანკალებდნენ. ეს ამბავი იცით, რას ჰგავს? მანდატი რომ არ დავჭერი და პარლამენტში შევედი, მეუბნებოდნენ, ეტყობა, ვანო მერაბიშვილთან ხარ შეკრულიო. მერაბიშვილი დღეს ციხეში ზის და იქ კიდევ დიდხანს უნდა ჩაამწყვდიონ, მე კი ქალაქში თავაწეული დავდივარ. ჰოდა, ვიდრე პოლიტიკაში, ვარ, სხვების გულის გასახეთქად, ასე ვივლი!

— გასაგებია, რომ დღეს „ოცნება“ არ მოგწონთ, მაგრამ 2012-ში თქვენც მათთან ერთად იყავით. მაინტერესებს, იზიარებთ თუ არა პასუხისმგებლობას მათთან ერთად თუ დღეს აღარაფერი მოგწონთ?

> **— ჩვენც ნამდვილად შევქმენით „ოცნება“, მაგრამ ცუდად მომექცნენ, როცა წამოვედი, „ნახვამდის“ არავის უთქვამს. ჩემი არცერთი კოლეგა ჩემთან არ მოსულა და არ უკითხავს, გია, სად მიდიხარ? მე ხომ თითოეულ მათგანთან ჩემი ურთიერთობა მქონდა, რომელიც „ოცნებაში“ არ დაწყებულა. ჩვენთვის არ უკითხავთ, სად მიდიხართ ძმებო, რა გეწყინათ, რა გეტკინათო. ვიდრე კოალიციაში ვიყავი, 2 წელი და 4 თვე, ყველაფერს ვიზიარებ. ამის მერე რა პასუხისმგებლობა უნდა გავიზიარო? სწორედ 4 ნოემბერს, ჩვენი წასვლის მერე, კოალიციაშიც, პარლამენტშიცა და მთავრობაშიც თავდაყირა დადგა ყველაფერი. „ოცნების“ მთავარი პრობლემა ჩვენი გაწევა და გაგდება გახდა კოალიციიდან.**

— ვერ გავიგე, გაგაგდეს თუ წამოხვედით?

— ასე იყო თუ ისე, ქვეყნისთვის ნეგატიური შედეგი დადგა, მაგრამ თუ გვინდა, თვალები დავიბრმავოთ, კი ბატონო, მაშინ ვთქვათ, რომ თავისუფალი დემოკრატების გაწევის მერე ყველაფერი წინ წავიდა. ამ დროს, ჩვენი გამოგდების მერე წავიდა უკან-უკან ყველაფერი. დეზორიენტირებული გახდა მთავრობა და საპარლამენტო უმრავლესობა, დიდი პრობლემები შეიქმნა ქალაქში და ა.შ.

— მაგრამ არ შეცვლილა საგარეო კურსი.

— ვნახოთ. საგარეო და თავდაცვის სამინისტროს მუშაობით უკმაყოფილო ვართ, რადგან ჩვენ გაცილებით ინტენსიური ურთიერთობები გვქონდა მეგობარ და პარტნიორ ქვეყნებთან. ახლა ვდგავართ ევროპის კარიბჭესთან და ერთ ადგილს ვტკეპნით. თავისუფალი დემოკრატების რესურსის ამოგდებით, თუ არ წაგო, არც მოუგია ხელისუფლებას.

— არ ფიქრობთ, რომ პირადად თქვენ, აქტიური ბრძოლის ველიდან პასიურ ხაზზე აღმოჩნდით და „დიპლომატების“ პარტიაში სულ სხვანაირი ხართ?

— სულაც არ ვარ პასიურ ხაზზე. ვარ პარტიაში, რომელიც იყო ხელისუფლებაში, მოულოდნელად აღმოჩნდა ოპოზიციაში და ახლა ისევ ხელისუფლებაში აპირებს დაბრუნებას. თუ ზედმეტი თავგადასავლების გარეშე მივალთ არჩევნებამდე, კარგი იქნება.

— არჩევნებამდე ყველა თავისი მეთოდით მიდის — კანცელარიის წინ 50 კაცი შიმშილობს, ზოგი „რუსთავი 2“-ის ეზოში დგას... თქვენი გზა რა არის და რატომაა ოპოზიცია ორ ბანაკად გაყოფილი ერთი მოთხოვნის, საარჩევნო კოდექსის შეცვლის გარშემო, რისი იმედი გაქვთ ამ დაქსაქსულ ბრძოლაში?

— ყველა მოშიმშილეს პატივს ვცემ. 17 დღე ვიშიმშილე 2008 წლის 4 მარტიდან და პატრიარქი რომ არ მობრძანებულიყო, შიმშილობის შეწყვეტის თხოვნით, ეს ამბავი შესაძლოა, ფატალურადაც დასრულებულიყო. რა თქმა უნდა, ირმასა და სხვა მოშიმშილეების მდგომარეობაშიც შევდივარ. რა განსხვავებებიც უნდა იყოს ჩვენს პარტიებს შორის და ასეთი უამრავია, ვალდებულნი ვართ, სოლიდარობა გამოვუცხადოთ.

დასასრული მე-4 გვერდზე

ვერსიანიუსი

მოქალაქეთა საყოველთაო დაზღვევისთვის, დაახლოებით მილიონი ლარი დაიხარჯა

სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი
CENTER FOR CIVIL INVOLVEMENT

არასამთავრობო ორგანიზაციამ „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი“ ჯანდაცვის სამინისტროს მონიტორინგის შუალედური ანგარიში წარმოადგინა. ორგანიზაციის თავმჯდომარის, ლაშა გიორგაძის განმარტებით, პროექტის მიზანია, საქართველოს მოსახლეობამ იცოდეს, რა მიმართულებით ვითარდება ჯანდაცვის სამინისტრო.

2010 წლის მონაცემებით, საქართველოში სახელმწიფოს მხრიდან დაზღვეულ პირთა რაოდენობა იყო მხოლოდ 30%, 2012 — 40%, დღეს კი, დაზღვეულთა რაოდენობა 99%-ს აღწევს. 2013 წელს დაიხარჯა 69 მილიონი, 2014 წელს — 335 მილიონი, ხოლო 2015 წლის 9 თვის მონაცემით დახარჯულია 423 მილიონ ლარზე მეტი. ჯამში, დაზღვევის მიმართულებით დაახლოებით მილიარდი ლარია დახარჯული. რაოდენობრივად, საყოველთაო ჯანდაცვის პროექტით დაზღვევა 750 ათასმა ადამიანმა მიიღო, მათგან ანაზღაურებული თანხა კი, 600 მილიონ ლარამდეა. აქედან, ონკოლოგიური პრეპარატები შეისყიდეს 12 ათასი პირისთვის, გეგმური ქირურგიული მომსახურებისა და კარდიოქირურგიის კომპონენტით ისარგებლა 102 ათასმა პირმა და აქედან 112 მილიონი ლარია ანაზღაურებული. „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის“ თავმჯდომარის შეფასებით, საყოველთაო დაზღვევის მოდელი საუკეთესოა, პროგრამას ხარვეზები აქვს, მაგრამ ნელ-ნელა იხვეწება. ლაშა გიორგაძემ მედიკამენტების ხელმისაწვდომობაზეც ისაუბრა: **„მედიკამენტები ძალიან ძვირია და საქართველოს მოსახლეობას უჭირს მათი შესყიდვა. განსაკუთრებით მაშინ, როცა ოპერაცია ტარდება და შემდგომ, რეაბილიტაციისთვისაც საჭიროა გარკვეული თანხა. მოსახლეობისთვის ეს მიმართულებაც ხელმისაწვდომი უნდა იყოს“.** სამაგიეროდ, სასიამოვნო სიახლეა, რომ ჯანდაცვის სამინისტრო იწყებს ახალ პროექტს „პირველადი ჯანდაცვა“, რომლის ფარგლებშიც, ადამიანებს გამოკვლევა პერიოდულად ჩაუტარდებათ. ლაშა გიორგაძის განმარტებით, ეს იქნება კულტურის დანერგვა — ადამიანები ინფორმირებულები იყვნენ თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოში დაწყებულია C ჰეპატიტის ელიმინაციის პროექტიც. 10 სექტემბრის მონაცემებით, პროგრამაში ჩართულია 12 ათასზე მეტი ბენეფიციარი, მათგან 3700 პირი მკურნალობის კურსსაც გადის. წლის ბოლოს განვითარების 5-წლიანი გეგმა შემუშავდება. პროექტი მიზნად ისახავს C ჰეპატიტის მინიმუმამდე დაყვანას. არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის“ შეფასებით, რეცეპტების ინსტიტუტის დანერგვამ ხელი შეუწყო „სააფთიაქო ნარკომანიასთან“ ბრძოლას. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა სამწუხაროდ, დღესაც არის აფთიაქები, სადაც ურეცეპტოდ გასცემენ მედიკამენტებს. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების აზრით, სასურველია, ეს პრობლემაც, შესაბამისი უწყებების მიერ, უახლოეს მომავალში, მოგვარდეს.

ნათია დაუშვილი

ევროკავშირი წლის ბოლოს უვიზო მიმოსვლის გადაწყვეტილებას მიიღებს

ბათო ჯაფარიძე

ევროკავშირში, საქართველოსთან მიმართებაში, ძალიან ოპტიმისტური განწყობაა. ბრიუსელში, მივიღეთ ინფორმაცია, რომ წლის ბოლოს, მაღალი ალბათობით, პოზიტიურ გადაწყვეტილებას მიიღებენ უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებით, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე.

მთავრობის მეთაურმა გაწეული სამუშაოსთვის ყველა სახელმწიფო უწყებას მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ სამი წლის განმავლობაში ყველაფერი გააკეთა, რათა ვიზების ლიბერალიზაციის მიმართულებით ყველა ვალდებულება შესრულებულიყო.

„დღეს ჩვენ ამაყად შეგვიძლია ვთქვათ, რომ რაც საქართველოს მთავრობას ეკისრებოდა, შესრულებულია; ამას ერთხმად აღიარებს ევროკავშირი. ეს პროცესი დაიწყო ჩვენი მთავრობის დროს, მანამდე რატომღაც ამაზე არავინ ფიქრობდა. მოლდოვამ ეს გაცილებით ადრე დაიწყო და მათ უკვე აქვთ უვიზო მიმოსვლა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ წლის ბოლოს იქნება პოზიტიური გადაწყვეტილება ევროკავშირში და შემდეგ 28-ვე წევრი უნდა დაეთანხმოს ამ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას“, — განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ შესაძლოა, ამ პროცესს რამდენიმე თვე დასჭირდეს, რადგან გასათვალისწინებელია ევროპაში არსებული ვითარება, თუმცა საქართველოს მთავრობის მხრიდან ყველაფერი შესრულებულია.

„ერთადერთი, ვინც ბრიუსელში — ევროკავშირში და ევროპარლამენტში ითხოვდა, რომ საქართველომ არ მიიღოს უვიზო მიმოსვლა, არიან ნაციონალური მოძრაობის წევრები, დავით ბაქრაძე და გიორგი კანდელაკი. ჩემს მინისტრებს ევროკავშირში დაუდასტურეს, რომ გაოცებულები არიან. მათ პირდაპირ უთხრეს, თქვენ არ ხართ საქართველოს მოქალაქეები? პასუხი კი იყო, რომ ამ მთავრობის პირობებში არ არის სასურველი, საქართველომ მიიღოს უვიზო მიმოსვლა. რა უნდა დავარქვათ ამას, თუ არა ჩვენი ხალხისა და ქვეყნის მტრობა?!“ — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

თეა წულუკიანი დავით ბაქრაძისა და გიორგი კანდელაკის პოზიციებს ძირგამომთხრელს უწოდებს. მისი თქმით, რამდენიმე თვეა, დავით ბაქრაძე და გიორგი კანდელაკი ევროპელ პარტნიორებს ეუბნებიან, რომ საქართველო არ იმსახურებს უვიზო მიმოსვლის გადაწყვეტილებას. ამის შესახებ თეა წულუკიანმა ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა: **„არამხოლოდ ბრიუსელის ამ ვიზიტის ფარგლებში, არამედ რამდენიმე თვეა ძალიან ბევრჯერ, მე პირადად ჩვენი უცხოელი პარტნიორებისგან მსმენია, რომ პირადად ბატონი დავით ბაქრაძე და გიორგი კანდელაკი ჩვენს ევროპელ პარტნიორებს ეუბნებიან, რომ საქართველო არ იმსახურებს უვიზო მიმოსვლის გადაწყვეტილებას და თუ ეს გაკეთდება, მაშინ მთავრობაზე ევროპა დაკარგავს ბერკეტს. რა ბერკეტს გულისხმობენ, თავად უნდა გვითხრან, მაგრამ ის, რომ ამგვარი პოზიციები არის ძირგამომთხრელი და ქართველი ხალხის ევროპული მომავლის რეალიზებისთვის ხელშეშლა, ეს არის აშკარა. მაგრამ მათ იმედი უნდა გავუცრუო და ვუთხრა, რომ ქართველი ხალხის რეფორმატორულმა საქმიანობამ და მოთმინებამ იმ რეფორმებმა, რომლებიც 3 წლის განმავლობაში განვახორციელეთ, შედეგი გამოღო და ჩვენ ბრიუსელიდან ძალიან დაიმედებულები დავბრუნდით. რა თქმა უნდა, დღეს, ნოემბერში 100%-იან გარანტიას ვერავინ მოგვცემს, რა იქნება დეკემბერში, თუმცა ძალიან მაღალი დონის შეხვედრებზე ითქვა, რომ პრინციპში არაფერი უნდა დაუდგეს წინ იმას, რომ დასკვნა იყოს დადებითი და გაიხსნას გზა ვიზალიბერალიზაციისკენ, რომელიც ევროკავშირის თითოეულმა სახელმწიფომ უნდა დაამტკიცოს“.**

ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი კარლო ნატალე მიიჩნევს, რომ ვიზალიბერალიზაციის პროცესზე პოლიტიკურ შეხედულებებს გავლენა არ ექნება: **„ვიზალიბერალიზაციის შესახებ მოლაპარაკებები მიმდინარეობს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული კურსის მიხედვით. არ ვფიქრობ, რომ რაიმე პოლიტიკური გავლენა იქნება ამ პროცესზე. ჩვენ ველოდებით დეკემბრის შუა რიცხვებისთვის ანგარიშს ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით“.**

გიორგი საგარეიშვილის აღიარება

მე-3 გვერდიდან

პირველად თქვენ გიმხელთ და ეს მედიასაშუალებების წარმომადგენლებმა არ იციან — ორიოდ დღის წინ, კანცელარიასთან ზურაბ აბაშიძე, ვიქტორ დოლიძე და სულხან ღლონტი მივიდნენ, მოშიმშილეებს ესაუბრნენ და თანადგომა გამოუცხადეს. ზოგადად, არ მინდა დავიჯერო, რომ საგარეჯოში არჩევნები ისე გაყალბდა, როგორც 2012 წელს, ჩემს თვალწინ თერჯოლაში, სადაც ზაალ გოგსაძეს 800 ჯარისკაცი მოუყვანეს და მან არჩევნები ბაჩანა ახალაიას მარჯვენა ხელთან 540 ხმით წააგო. ამაზე გამოძიება სწორედ ალასანიას თაოსნობით დაიწყო, სამხედრო პოლიციამ მასალები მოიკვლია, საქმე აღიძრა და მასალები მთავარ პროკურატურას გადაეგზავნა, თუმცა კვალი სწორედ აქ იკარგება.

ამიტომ დღეს ვეკითხები მთავარ პროკურატურას — რა ხდება, ხელისუფლება იტოვებს არჩევნების სამხედრო ხმებით გაყალბების ბერკეტს და ამიტომ არ ხსნიან თერჯოლის საქმეს, რომ ეს ხერხი 2016 წელსაც გამოიყენონ? დარწმუნებული ვარ, საგარეჯოში ხელისუფლებას, ფორმალურად, ვერ მოედავები, ყველაფერი კანონის ჩარჩოში იქნება მოქცეული, მაგრამ კითხვა ისმის — რომ არა საგარეჯოს სამხედრო ნაწილი, თამარ ხიდაშელი არჩევნებს მოიგებდა?ჯამ ხელისუფლების ადგილას რომ ვყოფილიყავი, უჯარმას თავს დავანებებდი, იქ 600-მდე ჯარისკაცს არავითარ შემთხვევაში არ გავაჩენდი და ისე დავამარცხებდი ინაშვილს. მათ კი კითხვისნიშნები დატოვეს.

— რა კითხვები — 2016 წლისთვის არჩევნები გაყალბდება?

— კითხვები არსებობს, ჩვენ კი ყველაფერს გავაკეთებთ, რათა 2016 წლის არჩევნებისთვის დახურული უბნები საერთოდ გაუქმდეს. სხვათა შორის, აი, იმ მტარვალი შევარდნაძის პერიოდში, ეს დახურული უბნები, ღია იყო, ჯარისკაცები ყაზარმებიდან გამოდიოდნენ და ხმას ისე აძლევდნენ.

— მერე რას აკეთებთ ამ ცვლილებებისთვის, პარლამენტში ხელმოწერების შეტანა საკმარისია?

— ჩვენ კი ყველაფერს გავაკეთებთ, მაგრამ კოალიცია ძალიან გაუცხოებული და კარჩაკეტილია. ამ თემაზე საერთოდ არ გვესაუბრება, რაც მას ძალიან დიდ ხიფათამდე მიიყვანს. ქართველები მიტინგზე პენსიის გაზრდისთვის კი არა, დემოკრატიული საარჩევნო რეფორმის გულისთვის გამოდიოდნენ. 2007 წლის 2 ნოემბერს ხალხი პირველად ქუჩაში სწორედ ამის გამო გამოვიყვანეთ, ამიტომ „ოცნებას“ უნდა ესმოდეს, რომ გავა დრო და ხალხი გარეთ ისევ გამოვა, თუ საარჩევნო გარემო მართლა არ შეიცვალა.

— 2007 წლის არ იყოს, მედიაში ახლაც ცუდი პროცესები მიდის, თუმცა „რუსთავი 2“-მა ყველა დანარჩენი გადაფარა. მაინტერესებს თქვენი პოზიცია „მაესტროს“ წილების დავაზე, რომელშიც ყველა დანარჩენი თქვენი მეგობრის, გია გაჩეჩილაძის წინააღმდეგაა. ამ საკითხზე რატომ არ აქტიურობთ?

— „რუსთავი 2“-ით დავიწყებ, რომელიც სულ ჯიბის ტელევიზია იყო და ახლაც ასეა, მაგრამ ის ხელისუფლებისადმი კრიტიკულადაა განწყობილი, ამიტომაც საჭიროა. საღად მოაზროვნე ხელისუფლებას, პირიქით, გვერდზე უნდა ჰყავდეს მაყეფარი ძაღლი, თანაც ისეთი სახელგატეხილი, როგორიც „რუსთავი 2“-ია. თუმცა ჩვენ ეს არხი გვჭირდება. დღეს „რუსთავი 2“, თუნდაც ტენდენციურად, მაგრამ მაინც „მაზოლზე“ ფეხს აბიჯებს ხელისუფლებას და თანაც, ოპოზიციის აზრის გამოხატვა დაიწყო. ჩვენთვისაც გაიხსნა ეს არხი და უკვე იმდენჯერ ჩაგვწერეს, წინა 6 წლის კომპენსირება ერთ თვეში მოახერხეს. თუმცა იქამდე ირაკლი ალასანია რუსის აგენტი, კაგებეშნიკი, მკვლელი „კულინარიელი“ იყო და ახლა აღარ არის?! ან ჩემზე გაკეთებული პასკვილების სერიას გადახედონ. ამიტომ როცა ამბობენ, მოდით, გვერდით დაგვიდექითო და მათთან არავინ მიდის, პრობლემა საკუთარ თავში ეძებონ. მე განსხვავებულ აზრს ვიცავ და არა „რუსთავი 2“-ს ან მის „მოზონდერო“ ჟურნალისტებს და ღმერთმა დამიფაროს, ამ არხის შლაგბაუმთან ოდესმე დავდგე. იქ ფიზიკურად არასდროს მივალთ. რაც შეეხება „მაესტროს“, „იმედს“, „მაუწყებელს“ — როგორც ჩანს, „ოცნებამ“ წინასაარჩევნოდ ყველა არხს გადაუარა და გადატკეპნა! „მაესტროს“ ხელმძღვანელობას კი ვურჩევ, უფრო მკაფიო გახადონ პროცესები, რომ მერე არ დაგვიანდეს. „უცნობს“ უდიდესი ღვაწლი აქვს მარტო ამ არხის კი არა, მთელი საქართველოს წინაშე.

— გული არ გწყდებათ, რომ თქვენი მეგობრები, ძმები გაჩეჩილაძეები დღეს გამიჯნულნი არიან პროცესებიდან?

— როგორ არ მწყდება, მაგრამ მათ ის ღვაწლი არ უნდა დავუკარგოთ. მე და „მაესტრო“ ბეწვის ხიდზე ერთად დავდიოდით. როცა გიას „ლიმონკა“ ესროლეს, შენობაში, მის გვერდით ვიყავი. მაშინაც „მაესტროში“ ვიყავი, რადიოეთერში, როცა ეროსი კიწმარიშვილი ღობეზე გადაძვრა და არხი შტურმით აიღო. ჟურნალისტები მთხოვდნენ, ეთერიდან არ გახვიდეთ, თორემ აქაც მოვლენ და დაგვარბევენო. „მაესტროს“ რადიოს შენობა სწორედ „უცნობმა“ დაუთმო. დღეს ეს არხი ფორმაში ვერაა და გული მწყდება. ლევან და გია გაჩეჩილაძეები ჩემი მხოლოდ პოლიტიკური თანამებრძოლები კი არა, ბავშვობის მეგობრები არიან, ჩემი ძმა, პეტრე ცაგარეიშვილი მათი უახლოესი მეგობარია და დიახ, რა თქმა უნდა გული მწყდება, რომ პოლიტიკიდან გაქრნენ. ორივე თავდადებული და ნიჭიერი ადამიანია, განსაკუთრებით, გია გაჩეჩილაძე, რომელიც მთელი ოპოზიციის იდეების გენერატორი იყო. ასე რომ, ყველამ გულში ჩაიხედოს — ისინი რომ არა, სად ვიქნებოდით, კაცმა არ იცის.

არ მიყვარს, როცა ადამიანს დამსახურებას უკარგავენ — რომ არა გაჩეჩილაძეებისა და სხვების თავგანწირვა, ვერც ივანიშვილი გამოჩნდებოდა და არც 2012 წლის 1 ოქტომბერი მოხდებოდა. „ოცნებაში“ ჩემი ყოფნა კი მარტო იმიტომაც ღირდა, რომ ციხეებიდან უამრავი უდანაშაულო ადამიანი გავათავისუფლეთ, სადაც მამაკაცებს ცოცხებით აუპატიურებდნენ და მერე ამ კადრებს ჭაობში მალავდნენ. ბრძანების შემსრულებლებზე არანაკლებ დამნაშავეებად მათი პოლიტიკური მხარდამჭერები მიმაჩნია, ვინც დღეს პარლამენტში არიან.

— ამას მეორედ უსვამთ ხაზს და ვერ გავიგე, ამ დამნაშავეებთან ერთად პარლამენტში ყოფნაზე თქვენც ხომ მოაწერეთ ხელი?! გეთქვათ, მაშინ 2012 წელს, ამათთან ერთად პარლამენტში არ დავჯდებიო.

— ეს ძალიან პოპულისტური იქნებოდა, რას ჰქვია, ამათთან ერთად არ დავჯდები, როცა ურთულესი გზა გავიარე, მილიონზე მეტი საარჩევნო ხმა და პარლამენტში მუშაობის ვალდებულება ავიღე. ასე მოიქცა დავით გამყრელიძე და უდიდესი, დანაშაულის ტოლფასი შეცდომა დაუშვა, რაც მისთვისაც ნათქვამი მაქვს. ერთსაც გეტყვით — 2012 წელს პარლამენტში იმიტომაც შევედი, რომ საგამოძიებო კომისია უნდა შექმნილი და ნაციონალური მოძრაობა უნდა გაგვესამართლებინა.

— დიახ და მისთვის თინა ხიდაშელს უნდა ეხელმძღვანელა. სადაა ეს კომისია?

— მერე, ეხელმძღვანელა! აბა, იკითხეთ ერთი, ეს კომისია შეგვაქმნევინეს?

— ვინ არ შეგაქმნევინათ?

— მთავრობამ და მიზეზები მათ ჰკითხეთ. მაშინ პროკურატურაში კბილაშვილ-ნაცვლიშვილი იყვნენ და ასე გვითხრეს, ჩვენ გამოვიძიებთ, თქვენ არაფერი შექმნათო. თორემ ყოფილიყო თინა იმ კომისიაში, ნაცვლიშვილსა და კბილაშვილზე უკეთ გამოიძიებდა ყველა საქმეს.

საბოლოოდ, რა გამოვიდა, ხალხი მოვატყუეთ! „ოცნებამ“ თავისუფალი დემოკრატები განდევნა ხელისუფლებიდან და საკოაბიტაციოდ ნაციონალები მოიყვანა — იქეთ ვერულაშვილი, აქეთ ოქრიაშვილი, გვირგვინად — ლაშა თორდია და კიდევ მე მაბრალებენ ნაციონალებთან კავშირს?! 2008 წელს, როცა მანდატი არ დავხიე, ყველა მლანძღავდა, მერე კი ეს ადამიანები ჩემთან მოდიოდნენ და ბოდიშებს მიხდიდნენ — გია, შევცდით და ეს ემოციურ-სოლიდარული გაუგებრობა იყოო, ერთი მინისტრისა არ იყოს. წარსული არ დამვიწყებია, მაგრამ მინდა, მომავლისკენ გავიხედო.

— და ვის ხედავთ მომავალში, ისევ ივანიშვილს?

— ეს ხალხის გადასაწყვეტია და მათ არჩევანს პატივს ვცემ. თუ „ოცნებას“ აირჩევენ, ამასაც პატივს ვცემ ისევე, როგორც ნაციონალების არჩევას. ხოლო ჩვენს პარტიას თუ აირჩევენ, ნაცებმაც, „ქოცებმაც“ და „რესპებმაც“ პატივი სცენ ამ არჩევანს.

„ულირსი კონტრაქტორების“ სკანდალი

რა კავშირი აქვს სპორტის მინისტრის მოადგილეს „არენა მშენთან“, რომელსაც ნარმანიამ ხელშეკრულება შეუწყვიტა

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„ბოლო პერიოდში, გადატვირთული გზები და საცობები ქალაქში გადაადგილებას განსაკუთრებით ართულებს. შექმნილი ვითარების ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი, კონტრაქტორი კომპანიების მიერ, ვალდებულების შესრულების ვადების გადაცილებაა, რაც ბოლო დროს გახშირდა. ტენდერებში გამარჯვებულმა რამდენიმე კომპანიამ ნაკისრი ვალდებულება ჯეროვნად არ შეასრულა, რის გამოც, დედაქალაქის მერიამ ცალმხრივად შეწყვიტა მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები და აღნიშნულ კომპანიებს კანონით გათვალისწინებული სანქციები დაეკისრებათ! ამასთან, უკვე გამოაცხადა ახალი, გამარტივებული ელექტრონული ტენდერი და გამარჯვებული კომპანია ხელშეკრულების გაფორმებისთანავე ინტენსიურ რეჟიმში დაიწყებს მუშაობას შესაბამის ობიექტებზე“, — ესაა მცირე ამონარიდი თბილისის მერის, დავით ნარმანიას გამოსვლიდან მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე. „ვერსია“ დაინტერესდა, კონკრეტულად რომელი კომპანიების გამო ჩაიშალა თბილისის მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერები? რა ვალდებულებები არ შეასრულეს ამ კომპანიებმა და რატომ?

ტენდერების ჩაშლის ძირითადი მიზეზები

თბილისის მერის, დავით ნარმანიას განცხადებით, ყველა იმ კომპანიის მიმართ, რომლებიც ნაკისრ ვალდებულებას დაარღვევენ, განსაკუთრებით კი ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულების ნაწილში, გატარდება კანონით დადგენილი ზომები და დაეკისრებათ შესაბამისი სანქციები! გარდა ამისა, 2016 წლიდან, დედაქალაქის მერია, ქალაქში არსებული ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად, არაერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას გეგმავს, რათა ქუჩები შედარებით განიტვირთოს და თბილისში გადაადგილება გაადვილდეს.

დიდი ხანია, ჩაშლილი ტენდერები თბილისის მერიისა და ზოგადად, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების „აქილევსის ქუსლად“ იქცა. „ვერსიამ“ ამ თემაზე არაერთი ჟურნალისტური მოკვლევა ჩაატარა, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩაშლილი ტენდერები მხოლოდ „ქართული ოცნების“ პრობლემა არ არის. სატენდერო პირობების შეუსრულებლობა ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებასაც სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა.

„საქართველოს კანონი შესყიდვების შესახებ“, რომელიც ელექტრონულ ტენდერებს არეგულირებს, მართლაც სერიოზული რეფორმა იყო. თუმცა ისიც ფაქტია, რომ კანონში ბევრი ისეთი მუხლია, რაც ცალკეულ შემთხვევაში — შეცვლას, რიგ შემთხვევაში კი საერთოდ გაუქმებას საჭიროებს. ეკონომიკის ექსპერტებისა და პოლიტიკოსების ნაწილს მიაჩნია, რომ შესყიდვების შესახებ კანონის სრულყოფილად დახვეწა ვერც „ნაციონალებმა“ შეძლეს და სამწუხაროდ, ვერც „ოცნებამ“ მოახერხა. ესაა მიზეზი, რის გამოც სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში, განსაკუთრებით კი თბილისის მერიაში, ტენდერები იშლება.

„ვერსიაში“ ვწერდით, რომ ონლაინაუქციონის, ანუ ელექტრონული ტენდერის შემოღების მთავარი მოტივაცია საეჭვო გარიგებების თავიდან აცილება იყო. თუმცა კანონს უამრავი პრობლემა და ხარვეზი ახლავს, რაც ბიზნესს ხელს უშლის. შესყიდვების შესახებ კანონში უგულებელყოფილია მომსახურების ხარისხი, აქცენტი მხოლოდ დაბალ ფასზე კეთდება, რაც ნიშნავს, რომ თუ კომპანია ელექტრონულ ტენდერში დაბალ ფასს წარადგენს, პრიორიტეტი მას ენიჭება. შესყიდვების ბაზარზე სახელმწიფო სახსრების თითქმის 2/3, დაახლოებით 3 მილიარდი ლარი, ყოველწლიურად, უწესრიგოდ ბრუნავს, კანონის ქვეშ სახელმწიფო ფულის მხოლოდ 1/3-ია მოქცეული. შესაბამისად, შესყიდვების შესახებ კანონის დახვეწა აუცილებელია. ამ კანონის ერთ-ერთმა თანაავტორმა, ეკონომიკის ექსპერტმა ელექტრონული შესყიდვების საკითხებში, **თემურ ხომერიკმა** „ვერსიას“ ყველა ის მიზეზი დაუსახელა, რის გამოც 2014 წელს, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებსა და თბილისის მერიაში ელექტრონული ტენდერები ჩაიშალა. მისი თქმით, შარშან ტენდერების ჩაშლის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვებულ „ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის, კოჰაბიტაცია შედგა, რამაც პოლიტიკასთან ერთად, ეკონომიკაც დააზარალა: **„ძველი სტრუქტურები არც შანტაჟს ერიდებოდნენ და არც გარკვეული საკითხების დაბლოკვას, რადგან მათ ძველი ხელისუფლების პირობებში დაგეგმილი თამაშის წესების შენარჩუნება სურდათ. საბოტაჟის შემთხვევებიც გვქონდა — შესყიდვების ბაზრის ძველი მოთამაშეები ცალკეულ შესყიდვებს სპეციალურად აგდებდნენ, რათა ბაზარზე ფუნქციონირების საშუალება კვლავ ჰქონოდათ. ეს ბაზარი დახურული იყო და დაახლოებით 15 კომპანიას ჰქონდა გადანაწილებული. ეს ერთი ხელიდან მართული ბაზარია, ამიტომ კონკურენციის კანონის ამოქმედებისთანავე, აუცილებელია, კონკრეტული შემთხვევები კომპლექსურად განვიხილოთ და კვაზი-სტრუქტურებს, რომლებიც კომპანიები კი არა, ფულის „მრეცხავები“ არიან, სახელმწიფო ფულის არაეფექტურად ხარჯვის საშუალება არ მივცეთ. ვერ ვიტყვით, რომ ეს კომპანიები ასოცირებულები არიან ნაციონალებთან — ესაა მეწარმეთა კლასი ან ფენა, რომელიც ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში, ცდილობს, ჩინოვნიკებს შორის ლობისტები მოიპოვოს, რათა ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობა შეინარჩუნოს. ელექტრონული ტენდერების აწყობილი სისტემა მიდიოდა ადეიშვილამდე, მერაბიშვილამდე, უგულავამდე ან სააკაშვილამდე, ბოლო ნაკადი კი პარტიის საერთო ყულაბაში გროვდებოდა. მართალია, ეს გვარები „ბაზარს“ ჩამოშორდნენ, მაგრამ ტენდერებში მონაწილე კომპანიებმა პირადი კავშირების, ანუ „გრუზინული პადხოდის“ საშუალებით, ფულის ეს ნაკადი საკუთარ ჯიბეში მიმართეს, რაც ნიშნავს, რომ პოლიტიკური ფული ბიზნესში ჩააბრუნეს. რა თქმა უნდა, მთავრობა ვალდებული იყო ხელახლა გამოეცხადებინა ნამდვილი ტენდერები, მაგრამ ამისთვის არც კონკურენტი კომპანიები იყვნენ მზად და არც ისინი, რომლებიც სახელმწიფო ჩინოვნიკებს შორის მუდმივად ლობისტებს ეძებენ“.**

რომელ კომპანიას შეუწყვიტა ხელშეკრულება მერიამ

კონკრეტულად რომელმა კომპანიამ ვერ შეასრულა სატენდერო პირობები და ვის გაუწყვიტა თბილისის მერიამ ცალმხრივად ხელშეკრულება? თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა, **ლაშა ჩხიკვიშვილმა** „ვერსიას“ განუცხადა, რომ დედაქალაქში, საგზაო ინფრასტრუქტურის აღდგენის მიზნით, მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში შპს „არენა მშენმა“ გაიმარჯვა, რომელსაც ხელშეკრულება ცალმხრივად შეუწყდა: **„დედაქალაქის მასშტაბით არსებული გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოებზე, თბილისის მერიამ გამოაცხადა ტენდერი — 1.1.1/20/478, რომლის ღირებულება 5 297 999 ლარი იყო. თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე არსებული გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოებზე კი ტენდერი — 1.1.1/20/479 გამოცხადდა, რომლის ღირებულება 5 476 999 ლარი იყო. ორივე ტენდერის საერთო ღირებულება 10 774 999 ლარს შეადგენდა და დედაქალაქში საგზაო ინფრასტრუქტურის აღდგენას გულისხმობდა. კონტრაქტის მიხედვით, შპს „არენა მშენი“ ვალდებული იყო, ერთდროულად, მინიმუმ, 8 ობიექტზე გზების კაპიტალური შეკეთება ეწარმოებინა. კომპანიამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ვერ შეასრულა, რადგან სამუშაოებს დაბალი ტემპებით აწარმოებდა. შესაბამისად, თბილისის მერიის გადაწყვეტილებით, შპს „არენა მშენს“ ხელშეკრულება ცალმხრივად შეუწყდა და კანონით გათვალისწინებული ჯარიმები დაეკისრა“.**

ლაშა ჩხიკვიშვილმა „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ შპს „არენა მშენს“ გაგარინისა და პეკინის ქუჩების მონაკვეთები, ჭავჭავაძის გამზირისა და ჩოლოყაშვილის გამზირის მონაკვეთები (მიშველაძის ქუჩიდან ვაკის სასაფლაომდე), თევდორე მღვდლის ქუჩა (ბავშვთა სამყაროს მიმდებარე ტერიტორია), წერეთლის გამზირის მონაკვეთი (სამტრედიის ქუჩიდან გორის ქუჩამდე), მტკვრის მარჯვენა სანაპირო (იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორია), აღმაშენებლის ხეივნიდან სოფელ დიღომში ვაჟა ფშაველას ქუჩის დამაკავშირებელი გზა, ფერმწერთა ქუჩიდან სტუდენტთა საერთო საცხოვრებლამდე მისასვლელი გზა, ქოშიგორას დასახლებაში I და II ქუჩები კაპიტალურად უნდა შეეკეთებინა: **„თბილისის მერიამ, შპს „არენა მშენთან“ ხელშეკრულების შეწყვეტისთანავე, ახალი, გამარტივებული, ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა. ტენდერში გამარჯვებული კომპანია ხელშეკრულების გაფორმებისთანავე დაიწყებს სამუშაოებს ზემოხსენებულ ობიექტებზე (მისამართებზე), რომელთა რეაბილიტაციაც კომპანია „არენა მშენმა“ ვერ შეძლო“.**

მისივე თქმით, 2015 წლის 17 ივლისს, თბილისის მერიამ შპს „არენა მშენს“ ორი ხელშეკრულება გაუფორმა, რომელთა მიხედვით, სამუშაოების დასრულების საბოლოო თარიღად, 2015 წლის 15 დეკემბერი განისაზღვრა. ტენდერის დასრულების შემდეგ, თბილისის მერმა, დავით ნარმანიამ ბრიფინგი გამართა და განაცხადა, რომ თბილისის 50-მდე ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ორი კომპანია — „ბლექ სი გრუპი“ (მტკვრის მარჯვენა სანაპირო) და „არენა მშენი“ (მტკვრის მარცხენა სანაპირო) შეასრულებდა. ნარმანიას თქმითვე, ქუჩების რეაბილიტაციის ინტენსიური სამუშაოების შემდეგ, ქალაქში გზების შეკეთების სამუშაოები აგვისტო-სექტემბერში დასრულდებოდა.

ფაქტია, აგვისტო-სექტემბერში ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოები არ დასრულებულა. ამიტომ ჩნდება ლოგიკური კითხვა, რატომ არ მიიღო შესაბამისი ზომები კეთილმოწყობის სამსახურმა თავის დროზე? რამდენად სწორია თბილისის მერიის პოზიცია მაშინ, როდესაც განტევების ვაცად კონკრეტული კომპანია დაასახელა და დედაქალაქში არსებული საცობები, თუ გადატვირთული მოძრაობა მხოლოდ შპს „არენა მშენს“ გადააბრალა? „ვერსია“ თბილისის საკრებულოს ფრაქცია „გაერთიანებული დემოკრატების“ თავმჯდომარეს, **ზაზა ვეკუას** დაუკავშირდა: **„დედაქალაქის მერი კერძო კომპანიებს ადანაშაულებს, მაგრამ მინდა შევახსენო, რომ კერძო კომპანიები მოგებაზე ორიენტირებულები არიან, ამიტომ დამნაშავეები მერიის თანამშრომლებს შორის ეძებოს. თბილისელები იმიტომაც უხდიან მათ არც თუ ისე მცირე ხელფასს, რომ ტენდერის პირობები, მისი ჩატარება და ზედამხედველობა უზრუნველყონ. ამ კონკრეტული სამუშაოების ზედამხედველობა აუცილებელი იყო, რათა დროულად გარკვეულიყო, ასრულებდა თუ არა პირობებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია. ეს ყველაფერი მხოლოდ ახლა გაახსენდათ, როდესაც საკმაოდ დიდი დრო გავიდა და თბილისის ქუჩები ისევ აყრილია“.**

ახალი ტენდერის გამოცხადება და მასში სხვა კომპანიის გამარჯვებულად გამოვლენა, თბილისში არსებულ საცობებს ვერ განტვირთავს. კლიმატური პირობების გამო, ზამთრის პერიოდში გზის აღდგენითი სამუშაოები ბუნებრივად შეფერხდება, რაც დამატებით პრობლემებს შეუქმნის თბილისელებს. ზაზა ვეკუამ „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ თბილისის მერიის ტენდერებთან დაკავშირებით, ფრაქცია „გაერთიანებული დემოკრატები“, კეთილმოწყობის სამსახურის უფროსისა და დედაქალაქის მერის პასუხისმგებლობის საკითხს აუცილებლად დასვამს: **„თბილისის საკრებულოში ხმათა უმრავლესობით, სწორედ „ქართული ოცნებაა“ წარმოდგენილი, რომელსაც შეუძლია, ნებისმიერი საკითხი ისე გაიტანოს, როგორც სურს. მიუხედავად ამისა, დედაქალაქის საკრებულოს უმრავლესობის წევრებიც უკმაყოფილონი არიან თბილისში არსებული გადატვირთული მოძრაობისა და საცობების გამო. მათ შორის, მაჟორიტარებიც არიან და სწორედ მათ უწევთ ამომრჩევლებისთვის პასუხის გაცემა. ამიტომ მიმაჩნია, რომ გზებთან დაკავშირებულ ტენდერებზე, უმრავლესობის წევრებსაც მკაცრი შენიშვნები ექნებათ“.**

ცოტა რამ „არენა მშენის“ შესახებ

რას წარმოადგენს შპს „არენა მშენი“ და ვინ არიან ამ კომპანიის მფლობელები? რამდენი ლარით დააჯარიმა თბილისის მერიამ კომპანია, რომელმაც სატენდერო პირობების ვადები დაარღვია? „ვერსიამ“ ყველა საჭირო ინფორმაცია შესყიდვების სააგენტოსა და სამეწარმეო რეესტრის ოფიციალური ვებ-გვერდების საშუალებით მოიპოვა.

სამეწარმეო რეესტრში, შპს „არენა მშენი“ 2015 წლის 1 მაისიდან დარეგისტრირდა, როდესაც კომპანიის გენერალური დირექტორი შალვა გოგოლაძე გახდა. ორიოდე კვირაში, შალვა გოგოლაძე სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილედ წარადგინეს. შესაბამისად, რეესტრში კიდევ ერთი ცვლილება განხორციელდა და შპს „არენა მშენის“ დირექტორი მინისტრის მოადგილის ძმა, გურამ გოგოლაძე ხდება. 2015 წლამდე, შპს „არენა მშენი“, სამეწარმეო რეესტრში შპს „გზამშენი 4“-ის სახელით იყო რეგისტრირებული.

დასასრული მე-6 გვერდზე

ჯარისკაცები, პოლიციელები, პედაგოგები, ექიმები — რეალურად ვის გაეზარდა ხელფასი

ბათო ჯაფარიძე

სპეკულაცია იმის თაობაზე, რომ მთავრობამ გაიზარდა ხელფასები, სრული სიცრუეა, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე.

მთავრობის მეთაური მსგავსი ინფორმაციის გავრცელებას მოსახლეობის მიზანმიმართულად შეცდომაში შეყვანის მცდელობად აფასებს და სახელმწიფო უწყებების ხელმძღვანელებს მოუწოდებს, დაინტერესების შემთხვევაში, თანამდებობრივი სარგოების შესახებ მედიასაშუალებებს ნებისმიერი ინფორმაცია მიაწოდონ.

პრემიერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ არც ერთი მინისტრი პრემიას არ იღებს, ხოლო რაც შეეხება ხელფასების ზრდას, 113 მილიონი ლარით გაზრდილია ჯარისკაცების, 106 მილიონი ლარით — პოლიციელების ხელფასები, ასევე, პედაგოგების და ექიმების შრომის ანაზღაურება.

„მესმის იმ ადამიანების, რომლებიც ცდილობენ, მოსახლეობას არასწორი ინფორმაცია მიაწოდონ. არის განცდა, რომ მინისტრები და მაღალი თანამდებობის პირები პრემიებს იღებენ. არც ერთი მინისტრი არ იღებს პრემიას, მინისტრის ხელფასი არის 5 ათასი ლარი და ეს ყველაფერი საჯაროა“, — განაცხადა **ირაკლი ღარიბაშვილმა.**

მთავრობის მეთაურის შეფასებით, წლების განმავლობაში იყო დამკვიდრებული პრაქტიკა, რომ თანამშრომელს ხელფასის სახით ეძლეოდა გარკვეული თანხა, რომელსაც უმატებდნენ დანამატს და პრემიას, თუმცა მთავრობამ პრემიის კომპონენტი დაარეგულირა, რათა პრემიების გაცემა ქაოტურად არ ხდებოდეს.

„ხდება დანამატის გაცემა — საუბარია საშუალოდ 300-400 ლარზე, საშუალო და ქვედა რგოლზე, ან დეპარტამენტის უფროსები იღებენ დანამატებს. ვინაიდან, ჯერ კიდევ არ არის დასრულებული საჯარო სამსახურის რეფორმა, რომელიც ჩვენ დავიწყეთ და რომელიც სახელფასო სისტემის მოწესრიგებას ითვალისწინებს, ამიტომ ამ ცუდი პრაქტიკით გრძელდება დღემდე ხელფასების გაცემა. ჩვენი ვარაუდით, 2017 წლისთვის მთელი სახელფასო სისტემა იქნება მოწესრიგებული, ხელფასს დაერქმევა ხელფასი, დანამატს — დანამატი და აღარ მოხდება დანამატების და პრემიების ქაოტურად გაცემა. მანამდე გვიწევს ასეთ რეჟიმში მუშაობა, თუმცა სპეკულაცია იმის თაობაზე, რომ მთავრობამ გაიზარდა ხელფასები, სრული სიცრუეა და უნდა ეყოთ ნამუსი, რომ ამ თემით სპეკულირება დაასრულონ. მოსახლეობა მიზანმიმართულად შეჰყავთ შეცდომაში“, — **აღნიშნა** პრემიერ-მინისტრმა.

შრომის ანაზღაურების ფონდის ზრდასთან დაკავშირებით დეტალური განმარტება მთავრობის სხდომაზე ფინანსთა მინისტრმა გააკეთა. ნოდარ ხადურის ინფორმაციით, სახელმწიფო ბიუჯეტში 44 მილიონი ლარია სახანძრო-სამაშველო სამსახურების ბიუჯეტი, რომლებსაც 31 დეკემბრამდე იხდიან ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, ხოლო 1-ლი იანვრიდან გადაიხდის შინაგან საქმეთა სამინისტრო.

„10 მილიონი ლარით გაზრდილია გამომძიებლების ხელფასები; სასამართლოებში, 21 მილიონი ლარით გაზრდილია როგორც მოსამართლეების, ისე სასამართლოს აპარატის თანამშრომლების ხელფასები; გარემოს დაცვის სამინისტროში, აღდგა ადრე გაუქმებული სამსახურები, რომლებიც იცავენ ბუნებას, ესენია — გარემოს ზედამხედველობის სამსახური, სამინისტროს დაუბრუნდა სატყეო სააგენტო, მხოლოდ აქ არის ზრდა, ხელფასების მატებას ადგილი არ ჰქონია; სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ევროკავშირთან აღებული ვალდებულების შესაბამისად, უნდა განახორციელოს სურსათის უვნებლობის ხარისხის კონტროლი, ეს სამსახურები ასევე გაუქმებული იყო და მათ აღდგენას მოჰყვა არითმეტიკული მატება; კულტურის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ხელფასები შემცირებულია, 14 ათასი ლარით. სამინისტროს სისტემაში არის 80-მდე სსიპ, რომლებიც ფინანსდებოდა სუბსიდიების მუხლიდან, რაც გასწორდა და ხელფასს დაერქვა ხელფასი, თანხა კი იგივე დარჩა“, — განაცხადა **ნოდარ ხადურმა.**

მინისტრის ინფორმაციით, ფინანსთა სამინისტროს ხელფასები შემცირებულია 2 მლნ ლარით; ეკონომიკის სამინისტრომ რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი დაიწყო, შეიქმნა ინოვაციების და მეწარმეობის სააგენტოები და ზრდა არის ამ მიმართულებით; განათლების სამინისტროში ზრდა გამოწვეულია სსიპ-ებით.

მინისტრმა ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ მასწავლებლების ხელფასი წელს ჯამში 25 მილიონით გაიზარდა, ხოლო მომავალ წელს დაახლოებით 45 მილიონი ლარით იზრდება. ნოდარ ხადურის განმარტებით: **„გაზრდილი აქვს შრომის ანაზღაურება საქართველოს პარლამენტს, მაგრამ ეს გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ პარლამენტის წევრებს უწევთ ბინების დაქირავება ქუთაისში, კანონის შესაბამისად კი ეს უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ; სასჯელაღსრულების სამინისტროს ხელფასები გაზრდილია 2012 წლის სექტემბერში და თუ 2012 წელს ეს შეეხო 3-4 თვეს, წელს ეხება ყველა თვეს; აუდიტის სამსახურში 2012 წელს შრომის ანაზღაურება შეადგენდა 5,1 მლნ ლარს, მომავალ წელს იქნება 11,8 მილიონი ლარი; ადგილობრივ თვითმმართველობებში დაახლოებით 50 მლნ ლარით არის გაზრდილი შრომის ანაზღაურება ჯამში, მაგრამ ეს არის საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის 2012 წლის ნოემბრის განკარგულება, რომლის თანახმად, მნიშვნელოვნად გაიზარდა ზედა ზღვარი“.**

მე-5 გვერდიდან

„ულრსი კონჭრაქტორების“ სკანდალი

„გზამშენი 4“-ს ხანგრძლივი ისტორია აქვს, კომპანია 1961 წლიდან ფუნქციონირებს და ამ ხნის მანძილზე, გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები მისი მთავარი მიმართულებაა.

ოფიციალურად, სამეწარმეო რეესტრში, შპს „გზამშენი 4“-ის რეგისტრაციის თარიღი 1997 წლის 21 ივლისია. კომპანიის გენერალური დირექტორი რეზო ჩახვაშვილი იყო, რომელიც შპს-ში აქციების 52.4%-ს ფლობდა, თუმცა მასთან ერთად, ამ კომპანიას 17 პარტნიორი ჰყავდა. მათ შორის, აქციების 30.8%-ს თეიმურაზ ჭულუხიძე, ხოლო 5.6%-ს — ვალერიან დალაქიშვილი განკარგავდა. დანარჩენი 15 პარტნიორი კი წილების მცირე რაოდენობას განკარგავდნენ.

სამეწარმეო რეესტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, შპს „გზამშენი 4“-ის ჩანაწერები 2010 წლის 9 თებერვლიდან იწყება. 2011 წლიდან, კომპანიას 38 აქციონერი ჰყავს, ამიტომ წილები ასე გადანაწილდა: რეზო ჩახვაშვილი — 40.6%, თეიმურაზ ჭულუხიძე — 28.8%, ვალერიან დალაქიშვილი — 5.6%, ლია კუტალაძე — 2.4%, თემურ აბესაძე — 2.4%, ხოლო დანარჩენი 34 პარტნიორი წილების 0.2%-ს განკარგავდნენ.

შპს „გზამშენი 4“ თბილისისა და საქართველოს მასშტაბით, გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებს წლების მანძილზე ასრულებდა. ამ ხნის განმავლობაში, კომპანია არაერთ ტენდერს იგებდა, თუმცა შესრულებული სამუშაოს ხარისხთან და ვადებთან დაკავშირებით, არცერთ შემსყიდველს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

„ვერსიამ“ სამეწარმეო რეესტრის ჩანაწერებიდან გაარკვია, რომ 2014 წლის 29 დეკემბერს, შპს „გზამშენი 4“-ის პარტნიორები შეიცვალნენ. კომპანიის დირექტორი ისევ რეზო ჩახვაშვილია, მაგრამ პარტნიორებს შორის წილები ასე გადანაწილდა: ალექსი ელკანიშვილი — 0.2%, არტაშ ასლამაზიშვილი — 0.2%, მარსა ბადალოვა — 0.2%, ზაირა თევზაძე — 0.2% და შპს „გზა — 2014“ — 99.2%. სამეწარმეო რეესტრის ჩანაწერებიდან „ვერსიამ“ ისიც შეიტყო, რომ ამ დროს შპს „გზამშენი 4“-ის კუთვნილი ქონება, მათ შორის თბილისში, რუსთავში, გარდაბანსა და კასპში დააყადაღეს. 2015 წლის 30 აპრილს სიტუაცია იცვლება და შპს „გზა — 2014“-ის 99.2%-იან წილს, კომპანია „გზამშენი 4“-ში, შპს-ს დირექტორი, რეზო ჩახვაშვილი განკარგავს. 2015 წლის 1 მაისიდან, შპს „გზამშენი 4“ ოფიციალურად აღარ არსებობს, მის ნაცვლად, სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაცია გაიარა შპს „არენა მშენმა“, რომლის დირექტორი შალვა გოგოლაძეა. პარტნიორებს შორის კი წილები ასე გადანაწილდა: მარსა ბადალოვა — 0.2%, ზაირა თევზაძე — 0.2%, შპს „პეგასი“ — 99.2%, ალექსი ელკანიშვილი — 0.2%, არტაშ ასლამაზიშვილი — 0.2%.

2015 წლის 14 მაისს, შალვა გოგოლაძე საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილედ დანიშნეს. შესაბამისად, კომპანიის დირექტორი შეიცვალა და სამეწარმეო რეესტრში ახალი ჩანაწერი ჩნდება. 2015 წლის 16 ივნისიდან, შპს „არენა მშენის“ დირექტორი გურამ გოგოლაძეა, ხოლო პარტნიორებს შორის წილები ასე გადანაწილდა: მარსა ბადალოვა — 0.2%, ალექსი ელკანიშვილი — 0.2%, არტაშ ასლამაზიშვილი — 0.2%, შპს „არენა“ — 99.4%.

შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, „ვერსიამ“ შპს „არენა მშენის“ სატენდერო დოკუმენტაცია გადაამოწმა. სხვათა შორის, ეს კომპანია მერიის გარდა, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებშიც მონაწილეობდა. თუმცა ამჯერად მხოლოდ 2015 წლის 17 ივლისს, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებული სატენდერო დოკუმენტებით დავინტერესდით. ამ დოკუმენტებს შორის საინტერესოა თბილისის მერის მოადგილის, გიორგი სოლომონიას წერილი, რომელსაც 2015 წლის 29 ოქტომბერს, შპს „არენა მშენის“ დირექტორს, გურამ გოგოლაძეს უგზავნის.

გიორგი სოლომონია, გურამ გოგოლაძე ატყობინებს, რომ შპს „არენა მშენმა“, 2015 წლის 17 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების პირობები დაარღვია, რომლის მიხედვით, თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე არსებული გზები კაპიტალურად უნდა შეეკეთებინა. ხელშეკრულებაში მითითებული ვადების დარღვევის გამო, თბილისის მერია შპს „არენა მშენთან“ ცალმხრივად წყვეტს ხელშეკრულებას და კომპანიას ჯამში, 16 431 ლარის ჯარიმას აკისრებს. მოგვიანებით, „ვერსიამ“ გაარკვია, რომ გიორგი სოლომონიას წერილში მითითებულ ჯარიმას სხვა საჯარიმო სანქციებიც დაემატა და საბოლოოდ, მერიამ „არენა მშენს“ საკმაოდ სოლიდური ჯარიმა დააკისრა.

„ვერსია“ შპს „არენა მშენის“ დირექტორს, **გურამ გოგოლაძეს** დაუკავშირდა, რომელმაც რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი დაგვიზუსტა და იმასაც დაგვპირდა, რომ უახლოეს მომავალში, ვრცელ ინტერვიუს მოგვცემს: **„ამ ეტაპზე, კომპანიის იურისტებთან და სპეციალისტებთან ერთად, ყველა იმ საკითხს ვსწავლობთ, რის გამოც თბილისის მერიამ „არენა მშენი“ დააჯარიმა. როგორც კი ოფიციალურ დოკუმენტებს შევისწავლი, გპირდებით, ინტერვიუს აუცილებლად მოგცემთ და ყველა კითხვაზე გიპასუხებთ“.** მანამდე კი, გოგოლაძემ, რამდენიმე, მნიშვნელოვანი დეტალი დააზუსტა. კითხვაზე, რატომ გადაწყვიტა მისმა ძმამ, შალვა გოგოლაძემ, 2015 წლის 1 მაისს „გზამშენი 4“ შეეძინა და რეესტრში ახალი კომპანიის სახელით დაერეგისტრირებინა, გურამ გოგოლაძემ გვიპასუხა: **„რეზო ჩახვაშვილი ჩვენი მეგობარია. „გზამშენი 4“-ს საკმაოდ დიდი, 10 მილიონი ლარის დავალიანება დაუგროვდა. სწორედ ამიტომ დააყადაღეს კომპანიის ქონება და ზუსტად ეს ნახეთ სამეწარმეო რეესტრის ჩანაწერებში. მოკლედ, კომპანია გაკოტრების პირას იყო და გადავწყვიტეთ, მეგობარს დავხმარებოდით, გარდა ამისა, დაგვენანა, რომ „გზამშენი 4“, რომელიც 1961 წლიდან არსებობს და რომელსაც საკმაოდ დიდი ბაზა გააჩნდა, გაკოტრებულიყო. ამიტომ შევიძინეთ ეს კომპანია, რომელსაც „არენა მშენი“ ვუწოდეთ. დაახლოებით, 160 კრედიტორი ჰყავდა „გზამშენი 4“-ს და მათ დავალიანებას ახლა ჩვენ ვისტუმრებთ. რაც შეეხება ჩემს ძმას, შალვა გოგოლაძეს, მას შემდეგ, რაც მინისტრის მოადგილე გახდა, „არენა მშენთან“ არავითარი შეხება არ ჰქონია. კომპანიას მე ვხელმძღვანელობ და სხვათა შორის, ყოფილი დირექტორი, რეზო ჩახვაშვილი ისევ აქ მუშაობს. გზების მშენებლობის მიმართულებით, რეზო საერთაშორისო დონის, ერთ-ერთი, გამორჩეული სპეციალისტია და სწორედ ამ მიმართულებით გვიწევს კონსულტაციას, მაგრამ მენეჯმენტში არ ერევა“.**

„ვერსიის“ კითხვაზე, რატომ შეიცვალა პარტნიორებს შორის წილების ოდენობა 2014 წლის დეკემბრის ბოლოს და როგორ მოხდა, რომ „გზამშენი 4“-ის 99%-იან წილს შპს „გზა — 2014“ განკარგავდა, რომელიც მოგვიანებით, ჯერ შპს „პეგასმა“, ბოლოს კი შპს „არენამ“ ჩაანაცვლა, გურამ გოგოლაძემ განგვიმარტა: **„იმის გამო, რომ „გზამშენი 4“-ს დიდი დავალიანება ჰქონდა და კომპანიის ქონებაც დაყადაღდა, მოვალეებმა შპს შექმნეს და 99%-იანი წილი გაიფორმეს. მოგვიანებით კი როდესაც დავალიანების მქონე და გაკოტრებული კომპანია შევიძინეთ, ცხადია, ეს წილები უკვე ჩვენ გადმოვიფორმეთ“.**

ინტერვიუ ბრაზილიის ახალ ელჩთან

რატომ აპირებს საქართველოში ბრაზილიელი ექტორების ჩამოყვანას სისერო მარტინს გარსია

მაკა ლომაძე
555-27-95-13

ბრაზილიის ელჩს საქართველოში კარლოს ალბერტო ასფორას მისია ამოიწურა. შესაბამისად, საქართველოში ამ ქვეყანას ახალი ელჩი ჰყავს. მისი აღმატებულება, სისერო მარტინს გარსია, „ვერსიასთან“ ექსკლუზიურად საუბრობს ბრაზილია-საქართველოს ფორმალურ თუ არაფორმალურ ურთიერთობებზე.

— საქართველოში არც ისე დიდი ხანია ჩამობრძანდით. პირველი შთაბეჭდილებები როგორია?

— თბილისში 10 აგვისტოს ჩამოვედი. ადრე, საქართველოში არასდროს ვყოფილვარ. სამაგიეროდ, მეგობრებისგან ბევრი კარგი მსმენია თქვენი ქვეყნის შესახებ. ინტერესი მქონდა და როცა ელჩობა შემომთავაზეს, სიამოვნებით დავთანხმდი. გარკვეულწილად, ეს რისკიც იყო, მაგრამ არა დიდი, რადგან მხოლოდ დადებითი ცნობები მომდიოდა. არ ვნანობ – აქ თავს შესანიშნავად ვგრძნობ. საქართველოში აკრედიტებული ელჩებისგან ვიცი, რომ ბედნიერები არიან თქვენს ქვეყანაში მუშაობით და ცხოვრებით.

საქართველოს ტკივილიანი წარსული აქვს. უამრავი დამპყრობელი გყავდათ. 1989 წელს უბედურება დაგატყდათ თავს, საბჭოთა კავშირის დაშლაც ძვირად დაგიჯდათ, რადგან სტაბილურობის მოსაპოვებლად დიდი დრო იყო საჭირო. ვარდების რევოლუციის მერე კი, დემოკრატიზაციის პროცესი დაიწყო და წინსვლა თვალშისაცემია — ცდილობთ, თანამედროვე სახელმწიფოდ იქცეთ და ამას ინტერესით ვადევნებთ თვალს.

— ენის სწავლას ხომ არ აპირებთ და როგორი ურთიერთობები ჩამოგიყალიბდათ საქართველოში?

— კარგია, რომ ქართველები, ვისთანაც შეხება მაქვს, ინგლისურად საუბრობენ, თორემ ქართული რთულია — მინიმუმ 2-3 წელია საჭირო, ლაპარაკი რომ შეძლო. ძალიან მინდა ვისწავლო, მაინტერესებს, მაგრამ დრო არ მყოფნის. თანაც, არც ერთ სხვა ენას არ ჰგავს, თქვენი უძველესი ანბანიც, განსხვავებულია. რთულია დამახსოვრება...

საქართველოში ძალიან შეკრული დიპლომატიური კორპუსია. ჩაფიქრებული მქონდა, თითოეულს ვწვეოდი და გამეცნო, მაგრამ სხვადასხვა ღონისძიებების წყალობით, უკვე, თითქმის ყველას ვიცნობ. ბევრმა დამპატიჟა კიდეც. ადრე ბრაზილიას ესპანეთში წარმოვადგენდი. თქვენი ელჩი ბევრ რამეს მიყვებოდა. როცა საქართველოში ჩამოვიდა, თავისი მეგობრები გამაცნო. დღეს სწორედ ისინი არიან ჩემი არაპროფესიული ნაცნობები. მათ წამიყვანეს ერთ-ერთ სუფრაზე, სადაც აღმოვაჩინე, როგორ წარმოთქვამენ საქართველოში ქალების, წინაპრების, ბავშვების... ან პერსონალურ სადღეგრძელოებს. ეს თქვენი ტრადიციაა, ჩემთვის კი, ძალიან საინტერესო. ზოგჯერ, სუფრა ისე წარიმართება, თითქოს სცენარიაო დაწერილი. ზოგჯერ კი, სპონტანურად ხდება ყველაფერი. სიტყვა „გაუმრაჯოს“ უკვე კარგად დავიმახსოვრე... საოცარი ხალხი ხართ. ტაქსიში რომ ჩავჯდები, მე და მძღოლს არ გვესმის ერთმანეთის. როცა მიხვდებიან, რომ უცხოელი ვარ, თანაც ბრაზილიელი, დიდი ენთუზიაზმით მაჩვენებენ სხვადასხვა ადგილებს...

— საქართველოში თითქმის არავინ საუბრობს პორტუგალიურ ენაზე. მასპინძელ ქვეყანაში თქვენი სახელმწიფო ენის პოპულარიზაციას მოახდენთ?

— ვაპირებ, მაგრამ არ ვიცი, როდის მომეცემა ამის საშუალება. ამისთვის საუკეთესო გზა, განათლების სისტემაა. ვგეგმავთ, ბრაზილიელი ლექტორები ჩამოვიყვანოთ, თუმცა მანამდე ბევრი კონსულტაციის გავლა მოგვიწევს. ამ მხრივ, პორტუგალიასთან უკვე არსებობს მინიმალური კავშირები.

— როგორია საქართველო-ბრაზილიის ორმხრივი ურთიერთობები?

— უდიდეს ლათინოამერიკულ ქვეყანას, ბრაზილია, ინტერესი მსოფლიოს ნებისმიერი ადგილის მიმართ აქვს. პოსტსაბჭოთა ბევრ ქვეყანაში გავხსენით საელჩო: ესტონეთში, ბელორუსში, უკრაინაში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. პატარა საელჩო გვაქვს თბილისში, მაგრამ მთავარია, წარმოდგენილები ვართ. მანამდე, საქართველოს საელჩო ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში გაიხსნა. ბრაზილიის მთავრობა მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. გვინდა, თქვენს ქვეყანასთან მჭიდრო ტექნიკური კოოპერაცია გვქონდეს და ძლიერი კულტურული გაცვლა მოვახდინოთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ბიუჯეტი ძალიან მცირეა. ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ, როდის გაუმჯობესდება ფინანსური მდგომარეობა. მანამდე კი, ვაკეთებთ იმას, რაც შეზღუდული რესურსების ფარგლებშია შესაძლებელი. გამოსავალი ალბათ სამმხრივ თანამშრომლობაშია. გარკვეული პროექტები უკვე დაძრულია კიდეც, მაგრამ წინასწარ არ ვისაუბრებ.

— შთაბეჭდილებები გასაგებია. საქართველოში, რაიმემ თუ გაგაოცათ?

— დიახ. უამრავმა საქმემ და შეხვედრამ, რასაც არ ველოდი. ჩამოსვლისთანავე, უსაფრთხოების თემაზე 2-დღიანი შეხვედრა იყო. მას მოჰყვა აბრეშუმის გზის ფორუმი. ბევრი დრო წაიღო შემდგომმა მოხსენებებმაც, რაც პოსტფაქტუმ, ჩვენი მთავრობისთვის უნდა მიგვეწერა. ცოტა ხნის წინ, ნატო-ს მიერ თავდაცვის შეხვედრა გაიმართა. ნოემბერში, იმართება მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენცია გენდერულ თანასწორობაზე. ძალიან დატვირთული განრიგია. რადგან საელჩოში ცოტანი ვართ, ბევრი მუშაობა გვიწევს. თქვენს მთავრობასთან კომუნიკაცია არაა რთული — პრეზიდენტიცა და პრემიერიც ყველა დიდ ღონისძიებას ესწრება, დიპლომატების შეკრებებზეც დადიან, რაც ძალიან პოზიტიურია.

— ხშირად, ქართველებს ესპანელებსაც გვადარებენ. საქართველომდე ბრაზილიას ესპანეთში წარმოადგენდით. ჩვენს შორის მსგავსებას თქვენც ხედავთ?

— პირველ რიგში, ერთ განედზე მდებარეობთ და აქედან გამომდინარე, კლიმატიც, მსგავსი გაქვთ. ორივეგან ცხელი ზაფხულია. ბრაზილიაში ასე არ ცხელა. მაქსიმალური ტემპერატურა, 32-34 გრადუსია. სამაგიეროდ, საქართველოსა და ესპანეთისგან განსხვავებით, მეტად თბილა გაზაფხულსა და შემოდგომაზე. ზამთარში კი არც ისე ცივა. ასე რომ, ჩვენი კლიმატი უფრო ზომიერია. ასევე, ესპანეთთან იბერია გაერთიანებთ...

— თბილისში მეუღლესთან ერთად ცხოვრობთ? გვიამბეთ თქვენი ოჯახის შესახებ.

— ესპანელი მეუღლე მყავს. პროფესიით პიანისტია. ჩემი ერთი ქალიშვილი ფილოსოფოსია და ბრაზილიაში ცხოვრობს, მეორეს კი, იურიდიული განათლება აქვს და საფრანგეთშია. ჩემი მეუღლე თბილისშია და ცდილობს, გაიცნოს მუსიკალური საზოგადოება. ძალიან დაინტერესდა თქვენი მრავალხმიანობით. მომწონს თქვენი პოლიფონია ჟღერადობის გამო, ის კი ამ საკითხს პროფესიულად აფასებს და გაოცებულია ხოლმე: აი, ამდენი ხმააო, აქ ეს ნოტი აიღესო...

— საქართველოს რომელიმე კუთხეს უკვე ესტუმრეთ?

— **ვნახე** ბათუმი და ყაზბეგი. ორივე ულამაზესია და სრულიად განსხვავებული. ბათუმი ძალიან განვითარებული და ინტერნაციონალური ქალაქია, ყაზბეგი კი — უფრო ავთენტური. სხვა ადგილებს, მომავალში მოვინახულებ. ჯერ ყველაფერი წინ მაქვს. თბილისი სიცოცხლით სავსე ქალაქია. ჩემი აზრით, ქართული ტემპერამენტი მაინც უფრო მშვიდია. ზოგი კი არის ხმაურიანი, მაგრამ იტალიელებს და ესპანელებს თუ შეგადარებთ, უფრო წყნარი ხალხი ხართ. უფრო ჩვენთან ხართ ახლოს. მე არაფერს ვამტკიცებ, მაგრამ ეს ჩემი პირადი შთაბეჭდილებაა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ნაკლებად მხიარულები ხართ.

— როგორ ფიქრობთ, საქართველოსა და ბრაზილიას შორის ხელმოწერილი უვიზო შეთანხმება ტურისტების რაოდენობას გაზრდის?

— ხელს შეუწყობს. თუმცა, ახლა ბრაზილიაშიც კრიზისი და ინფლაცია, რის გამოც ხალხი ნაკლებად მოგზაურობს. სტამბოლიდან სან-პაულოში ფრენები არის, მაგრამ ჩემი დიდი სურვილის მიუხედავად, ვერ გპირდებით, რომ პირდაპირი რეისები დაინიშნება. თუმცა, ეს დროის საქმეა და პრობლემასაც არ წარმოადგენს — საქართველოს ევროპის ბევრ ქვეყანასთან არ აქვს პირდაპირი ფრენები.

საბერძნეთმა ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა

საბერძნეთის პარლამენტმა ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა. საგარეო საქმეთა სამინისტრო ინფორმაციას ადასტურებს. 2015 წლის 9 ნოემბერს საბერძნეთის პარლამენტის საგარეო და ეროვნული თავდაცვის კომიტეტმა ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმების რატიფიცირების საკითხი.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება სულ ევროკავშირის 28 სახელმწიფომ უნდა მოახდინოს. 26-მა ქვეყანამ ეს პროცესი უკვე გაიარა. დოკუმენტის რატიფიცირება ჯერ არ მოუხდენია იტალიასა და ბელგიას.

საფრანგეთის ტერაქტების ერთ-ერთი ორგანიზატორი აბდელჰამიდ აბააუდი ლიკვიდირებულია

ინფორმაციას ტერორისტის განადგურების შესახებ, ამერიკული გამოცემა Washington Post ავრცელებს.

როგორც პარიზის პროკურორმა ფრანსუა მოლენმა 18 ნოემბერს ჩატარებული სპეცოპერაციის შემდეგ განაცხადა, ლიკვიდირებული ტერორისტების ვინაობის დასადგენად ინფორმაციის მოპოვება მიმდინარეობდა.

პარიზში, სენ-დენის რაიონში ფრანგი სამართალდამცველების მიერ ჩატარებული თითქმის 7-საათიანი სპეცოპერაციის შედეგად, 2 ადამიანი, მათ შორის, ერთი ქალია დაღუპული. სამართალდამცველებმა ოპერაციის მსვლელობისას ასევე 7 ადამიანი დააკავეს, რომელთაგან 3 ტერორისტია.

სპეცოპერაცია პარიზის ტერაქტების სერიის ერთ-ერთი ორგანიზატორის, აბდელჰამიდ აბააუდის დაკავებას ემსახურებოდა.

ფრანსუა ოლანდმა რუსეთთან ფართომასშტაბიანი კოალიციის შექმნა დააანონსა

საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდის განცხადებით, ფართომასშტაბიანი საერთაშორისო კოალიცია რუსეთისა და აშშ-ს მონაწილეობით, მოახერხებს, „ისლამურ სახელმწიფოს“ გადამწყვეტი დარტყმა მიაყენოს.

ეს განცხადება საფრანგეთის პრეზიდენტმა საფრანგეთის ქალაქების მერების კონგრესზე გააკეთა. მისივე თქმით, მომავალ სამშაბათს, 24 ნოემბერს, ვაშინგტონში, ხოლო 26 ნოემბერს მოსკოვში გაემგზავრება, რათა 2 ქვეყნის ლიდერთან „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ კოორდინირებული ქმედებები განიხილოს: **„ჩვენ უნდა ჩამოვაყალიბოთ ფართომასშტაბიანი კოალიცია, რომელიც შეძლებს, გადამწყვეტი დარტყმები განახორციელოს“.**

„პია“

„ნაციონალებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია არჩევნებამდე მურუსიძის სააპელაციოში გამწესება“

თამთა ქარჩავა

„მოსამართლეებთან რამდენიმე შეხვედრას დავესწარი და შემიძლია გითხრათ, რომ ლევან მურუსიძე ჟესტიკულაციებით არეგულირებდა ვითარებას. მაგალითად, როგორც კი ხელს აწევდა, მოსამართლეები ადგებოდნენ, ხელს დაწევდა — დასხდებოდნენ. ეს ჩემი თვალით მაქვს ნანახი, შემზარავი იყო ამ კადრების ნახვა“, — აცხადებს ყოფილი მოსამართლე თამარ ლალიაშვილი, რომლის განცხადებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივან ლევან მურუსიძეს დღესაც ძალიან დიდი გავლენა აქვს მოსამართლეებზე.

— ქალბატონო თამარ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ბოლო საბჭოზე ვიხილეთ მოსამართლეები, რომლებიც ძალიან კრიტიკულები იყვნენ მიმდინარე მოვლენების შეფასებებში. ესენი არიან ის მოსამართლეები, რომლებიც უმეტეს წილად ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე იღებდნენ გადაწყვეტილებებს. რა ხდება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში?

— ხდება ის, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს, ლევან მურუსიძეს ისევ ძალაუფლება უნდა. კოტე კუბლაშვილის წასვლის შემდეგ, ახლად განხორციელებული რეფორმების ფონზე, სასამართლოში ძალაუფლება ხელში ჩაიგდო მურუსიძემ, რომელსაც თავისი გავლენის ქვეშ ჰყავს სასამართლო კორპუსის გარკვეული ნაწილი, რომელთა პროცენტული მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია. ყველა ვადევნებდით თვალს, როგორ აირჩიეს მურუსიძე საბჭოს მდივნად და როგორ ჩაიგდო მან ძალაუფლება ხელში სწორედ ამ სასამართლო კორპუსის მეშვეობით, რომლებიც მიჩვეული იყვნენ კუბლაშვილის და მურუსიძის გავლენის ქვეშ ყოფნას. უშუალოდ მურუსიძე კი, კოტე კუბლაშვილის, მიხეილ სააკაშვილის, ზურაბ ადეიშვილის გავლენის ქვეშ იყო.

— მოსამართლეებზე გავლენის მოხდენის რა სქემა არსებობდა?

— სქემა იყო ასეთი — კუბლაშვილი დავალებას იღებდა საპატიმროებისგან და ადეიშვილისგან, რომელიც შემდეგ ავალებდა მურუსიძეს, ხოლო მურუსიძე ამ ბრძანებას გადასცემდა მოსამართლეებს და ამის შემდეგ ხდებოდა გადაწყვეტილების მიღება. მურუსიძეს დღეს თავის ზემოქმედების ქვეშ ჰყავს სასამართლო კორპუსი.

— ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ არც ერთი მოსამართლის წინააღმდეგ დისციპლინარული დევნა არ არის დაწყებული მაშინ, როდესაც იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არაერთი მოსამართლის წინააღმდეგ არის შესული საჩივარი დისციპლინარული დევნის დაწყების მოთხოვნით?

— ვიდრე მურუსიძის ხელში იქნება ამის უფლება, არც ერთი მოსამართლის წინააღმდეგ არ დაიწყება დისციპლინარული დევნა. ძალაუფლებას იყენებს იმისათვის, რომ მორჩილებაში ჰყავდეს მოსამართლეები. ყოველ შემთხვევაში, ეს იმ მოსამართლეთა დიდი ნაწილია, რომლებმაც იმ 22 ათას საქმეზე მიიღეს უკანონო გადაწყვეტილება, რომლებიც დღეს სამართლიანობის აღდგენას ითხოვენ. ამ მოსამართლეების წყალობით ქვეყანას 200 პოლიტპატიმარი ჰყავს. ასეთი მოსამართლეების ფსიქოლოგია ერთ დღეში არ შეიცვლება. იგივე, ავიღოთ თამაზ ურთმელიძის ბოლო გადაწყვეტილება, ჯერ დანიშნა დროებითი მმართველები, მერე შეცვლა მისი გადაწყვეტილება. ეჭვი მაქვს, რომ მურუსიძის გავლენის ქვეშ იყო.

— ანუ, მურუსიძეს დღესაც გავლენა აქვს მოსამართლეებზე?

— დიახ, დღესაც ძალიან დიდი გავლენა აქვს. მოსამართლეებთან რამდენიმე შეხვედრას დავესწარი და შემიძლია გითხრათ, რომ ეს ადამიანი ჟესტიკულაციებით არეგულირებდა ვითარებას. მაგალითად, როგორც კი ხელს აწევდა, მოსამართლეები ადგებოდნენ, ხელს დაწევდა — დასხდებოდნენ. ეს ჩემი თვალით მაქვს ნანახი, შემზარავი იყო ამ კადრების ნახვა. უნდა გააჩერებს მოსამართლეებს, უნდა — არა.

მე ვიცი, რომ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება არ ერევა სასამართლოს საქმიანობაში, მაგრამ შიგნით ძალაუფლება ხელში ჩაიგდო მურუსიძემ. სამწუხაროდ, ვერაფერს ვცვლით, რადგან კანონი ამის უფლებას ანიჭებს და თავისი წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, შესანიშნავად იყენებს და მართავს მთელს სასამართლო კორპუსს.

— შეიძლება ითქვას, ნაციონალურ მოძრაობას მურუსიძის ხელით ჩიხში შეჰყავს პროცესები?

— რა თქმა უნდა. ყველა მოსამართლეს არ ვაყენებ შეურაცხყოფას, მაგრამ უმრავლესობა მოქცეულია მურუსიძის გავლენის ქვეშ.

— მურუსიძის გარდა, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ვინ არიან ის მოქმედი მოსამართლეები, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული ისეთ გადაწყვეტილებებში, როგორც მურუსიძეს და ამ უკანასკნელივით, მიუღებელნი არიან საზოგადოებისთვის?

— საბჭოს წევრი არის კუბლაშვილის მოადგილე ზაზა მეიშვილი, რომელიც მურუსიძესთან ერთად მონაწილეობდა სულხან მოლაშვილის საქმეში. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყველა მოსამართლე წევრი მურუსიძის გავლენის ქვეშ არის. ამაზე მეტყველებს მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და ის წინააღმდეგობა, რომელსაც უწევენ ახალ და თანამედროვე იდეებს. მაგალითად, იგივე საქმის ელექტრონული განაწილების შემოღება, რომ სასამართლოს თავმჯდომარეს საქმესთან არ ჰქონდეს შემხებლობა და კომპიუტერის მეშვეობით მოხდეს საქმე ნებისმიერ მოსამართლესთან. დღეს კანონს არღვევენ სასამართლოს თავმჯდომარეები, როდესაც საკუთარი ხელით ანაწილებენ საქმეებს მოსამართლეებზე. ამ ინოვაციას რატომღაც ეწინააღმდეგება მოსამართლეთა ნაწილი და სასამართლოს თავმჯდომარეები. ტრაგიკომედიაა — ადამიანი, რომელსაც პირდაპირ ვიტყვი, რომ სისხლიანი ხელები აქვს, რომელსაც საშინელ გადაწყვეტილებებზე აქვს ხელი მოწერილი, რომლის გადაწყვეტილებებს ევროპული სასამართლო უკანონოს უწოდებს, ბედავს და მაღალი ტრიბუნიდან მოქალაქეებს გვესაუბრება სამართლიანობასა და მართლმსაჯულების მწვერვალად ქცევაზე.

ჩვენი ერთ-ერთი კოლეგა ლალი ლაზარაშვილი სწორედ მურუსიძის ხელის აწევის შედეგად გაათავისუფლეს. უფრო სწორად, აიძულეს დაეტოვებინა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობა. მაშინ მურუსიძე არ იცავდა არავის ინტერესებს, მაშინ არ აინტერესებდა მართლმსაჯულება და კანონი, რომელსაც თვითონ არღვევდა. ლალი ლაზარაშვილს საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი აქვს სარჩელი, მაგრამ არავის აინტერესებს. საკონსტიტუციოს ახსოვს მხოლოდ გიგი უგულავა და „რუსთავი 2“. ჩვეულებრივი მოქალაქის ბედი არ აინტერესებთ.

— ცნობილია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეობისთვის ემზადება. აქვს შანსი, რომ გახდეს მოსამართლე?

— ძალიან დიდი შანსი აქვს, გახდეს მოსამართლე. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არიან მოსამართლეები, რომლებმაც მურუსიძესთან ერთად ისეთი გადაწყვეტილებები მიიღეს, რაც ძალიან მტკივნეულია ყველა იმ ადამიანისთვის, რომლებმაც უსამართლობის ქარ-ცეცხლში გაიარეს. ადამიანის უფლება, ღირსება და სიცოცხლე გათელილი იყო. უსულო საგნად მიიჩნევდნენ ადამიანებს. ამ სისტემის ნაწილი იყო მურუსიძე. მურუსიძე, რომელიც წლების განმავლობაში თესავდა უკანონობას, ბუნებრივია, რომ აპირებს იგივე გააგრძელოს.. მან იცის, როგორ უნდა ჰყავდეს მოსამართლე მორჩილებაში. იმ შემთხვევაში, თუკი გახდება აპელაციის მოსამართლე, გააგრძელებს იმ პოლიტიკას, რასაც წლების განმავლობაში ატარებდა, მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რაც მისი პოლიტიკური ძალისთვის იქნება მისაღები. დიახ, მურუსიძე დღეს თანამშრომლობს ნაციონალურ მოძრაობასთან. წინ გვაქვს საპარლამენტო არჩევნები და ამიტომაც ნაციონალებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მურუსიძის გამწესება სააპელაციოში. ყოფილი ხელისუფლებისთვის მურუსიძის ინსტიტუტი ძალიან მნიშვნელოვანია.

— ამბობთ, რომ დაუშვებელია მურუსიძის სასამართლო სისტემაში დაბრუნება, მაგრამ როგორ აპირებთ ხელისშეშლას, როდესაც მის ხელთაა იუსტიციის უმაღლესი საბჭო?

— ჩვენი აქტიურობით ვაპირებთ დავანახოთ საზოგადოებას, რომ არ შეიძლება მურუსიძის მოსამართლედ დამტკიცება. მოსამართლეებმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიგნონ, რომ არ შეიძლება იმის გაკეთება, რასაც 9 წლის განმავლობაში აკეთებდნენ. მათ ხომ ჩემზე უკეთ იციან, რას აკეთებდნენ მაშინ და დღესაც. ამ უკანონობას წერტილი უნდა დაესვას. მოსამართლეებმა უნდა შეინარჩუნონ დამოუკიდებლობის ხარისხი.

for.ge

ვერსიანიუსი

ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეებს წერილობით მიმართეს

ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ ორგანიზებით, ხუთმა ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ წერილობით მიმართა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეებს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ჩადენილი ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით.

როგორც „ღია საზოგადოება — საქართველოდან“ გვაცნობეს, მიმართვას ხელს აწერენ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), კონსტიტუციის 42-ე მუხლი, ადამიანის უფლებათა ცენტრი და წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი.

„2015 წლის 13 ოქტომბერს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა ფატუ ბენსუდამ ამავე სასამართლოს 2008 წლის ომამდე და ომის შემდგომ საქართველოში არსებული ვითარების გამოძიების დაწყების თხოვნით მიმართა. კერძოდ, გამოძიებამ უნდა მოიცვას პერიოდი 1 ივლისიდან 10 ოქტომბრამდე. საქართველოში, მიმდინარე წლის ოქტომბერში ვიზიტით მყოფმა ფატუ ბენსუდამ, 2008 წლის ომის შედეგად დაზარალებულ პირებს და მათ წარმომადგენლებს აცნობა, რომ 2015 წლის 12 ნოემბრამდე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეებისთვის წარედგინათ თავიანთი პოზიცია გამოძიების დაწყებისთვის საჭირო საკითხებთან/საჭიროებებთან დაკავშირებით. ამ მიმართვით, ზემოაღნიშნული ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები, 2008 წლის ომის შედეგად დაზარალებულთა სახელით, მხარს ვუჭერთ პროკურორის შუამდგომლობას გამოძიების დაწყების თაობაზე და დამატებით მოვითხოვთ, გაფართოვდეს გამოძიების ფარგლები.

მიგვაჩნია, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ უნდა დააკმაყოფილოს პროკურორის მოთხოვნა გამოძიების დაწყების თაობაზე და აღნიშნულმა გამოძიებამ აუცილებლად უნდა მოიცვას ქართველი სამხედრო ტყვეების წამების და სამოქალაქო პირებისათვის უკანონოდ თავისუფლების აღკვეთისა და მათ მიმართ არაადამიანური მოპყრობის ფაქტები, ასევე გამოძიებულ უნდა იქნას კოდორის ხეობიდან ქართველების დევნის და მათი საკუთრების განადგურების ფაქტები. პროკურორი ფატუ ბენსუდას 2015 წლის 13 ოქტომბრის მოთხოვნაში, რომელიც ქართველების იძულებითი გადაადგილების, სამშვიდობოებზე სავარაუდო თავდასხმის, მკვლელობების, ეთნიკური ნიშნით დევნის, მოწინააღმდეგის და მტრის ქონების განადგურებისა და მოროდიორობის ფაქტების გამოძიებას ითვალისწინებს, სავარაუდო დანაშაულების ჩადენის ადგილად მხოლოდ „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაა აღნიშნული“, — აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მათივე განცხადებით, ომის შედეგად დაზარალებულებს მიაჩნიათ, რომ აუცილებელია გამოძიების ჩატარება საერთაშორისო სასამართლოს მიერ, რადგან ამ დრომდე მათ ვერ აღიდგინეს დარღვეული უფლებები. დაზარალებულებს აქვთ მოლოდინი, რომ დამოუკიდებელი გამოძიების შედეგად ყველა დამნაშავე დაისჯება.

„ინტერპრესნიუსი“

დავით ნარმანიამ საქალაქო სამსახურების უფროსებისა და ვაკის რაიონის გამგებლის კანდიდატურა წარადგინა

დედაქალაქის მერმა, დავით ნარმანიამ საქალაქო სამსახურების უფროსებისა და ვაკის რაიონის გამგებლის კანდიდატურა წარადგინა. კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე, საკრებულოს დასამტკიცებლად გივი კუბლაშვილის კანდიდატურა წარედგინება. ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გიორგი ბაგრატიონის კანდიდატურა წარედგინება დასანიშნად. რაც შეეხება განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურს, საკრებულოს ირაკლი გვილავას კანდიდატურა წარედგინება. ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე საკრებულოს ნოდარ ჭიჭინაძის კანდიდატურა წარედგინება. ეკოლოგიის და გამწვანების სამსახურის უფროსის თანამდებობაზე კი საკრებულოს ნინო სულხანიშვილის კანდიდატურა წარედგინება. რაც შეეხება ვაკის რაიონის გამგებლის პოსტს, აღნიშნულ თანამდებობაზე, დასანიშნად საკრებულოს ნოდარ ტურძელაძის კანდიდატურა წარედგინება.

„პია“

საბედისწერო შეცდომა და ცოცხლადდამწვარი ოჯახი

პატიმარი №0578

90-იანი წლების მიწურულს საქართველოში, ყველასთვის ცნობილი მიზეზების გამო, კრიმინალი გახშირდა. სამწუხაროდ, იმ პერიოდში, კრიმინალმა სასტიკი ხასიათი მიიღო და ყაჩაღობის გარდა, მკვლელობაც არავის უკვირდა, თუმცა, ის, რაც იმერეთის ერთ-ერთ სოფელში მოხდა, ყველასთვის მოულოდნელი იყო. დაყაჩაღების შემდეგ, კრიმინალებმა სახლს ცეცხლი ნაუკიდეს და თითქმის მთელი ოჯახი გამოწვეს. გადარჩენა მხოლოდ შვიდი წლის ბიჭმა შეძლო, რომელიც ვერაფერს ამბობდა, რადგან შოკში იყო. დამნაშავეები მალე დააკავეს და გაასამართლეს...

რუსთავის №17 ზონაზე ორი ისეთი პატიმარი იხდიდა სასჯელს, რომლებსაც თმა მას შემდეგ გაუთეთრდათ, რაც დააკავეს. ერთის ამბავი ყველასთვის ცნობილი იყო — ციხეში პირველად იჯდა, მკვლელობისთვის. თავიდან დახვრეტა მიუსაჯეს. სანამ დახვრეტის მუხლი 15-წლიანი პატიმრობით შეიცვლებოდა, „გათეთრება“ მოასწრო. აი, მეორეს ისტორია ცოტა უცნაური იყო — მას შემდეგ გაჭაღარავდა, რაც რომელიღაც დანაშაულზე დააკავეს და მილიციის უფროსი უშნოდ გაეხუმრა — კეფაზე იარაღი დაადო და გამოჰკრა. იარაღმა გაიჩხაკუნა და ეს ხმა, საკმარისი აღმოჩნდა, შიშისგან ერთბაშად გათეთრებულიყო. ბევრჯერ ჰკითხეს პატიმრებმა, ასეთი რა ჩაიდინეო, მაგრამ საუბარს ერიდებოდა. ახალგაზრდა პატიმრები მეტს ვერ ბედავდნენ, რადგან იცოდნენ, თავის დროზე ნუგზარი ზონების მაყურებელი იყო და ქურდებსაც კარგად იცნობდა. ისიც მორიგი სასჯელის ვადის გასვლას მშვიდად ელოდა, იშვიათად ტოვებდა კამერას და ძირითად დროს ძილში ატარებდა. ყველაფერი კი მას შემდეგ აირია, რაც ზონაზე პატიმრების ახალი ნაკადი მოვიდა. იქ ერთი ბიჭი ერია. რაღა ბიჭი, 30-ს გადაცილებული იქნებოდა, მაგრამ სახეზე ბავშვს ჰგავდა. როგორც მაყურებლებს უთხრა, ჩხუბისთვის იჯდა, მაგრამ არ იცოდა, ვისთან და რატომ იჩხუბა. რესტორანში ატყდა გნიასი, მეც იქ ვიყავი, მერე ვიღაც დაჭრეს, ის ვიღაც ნაცების ახლობელი იყო და ყველა „გაგვსროკესო“. სამი წელი ჰქონდა მისჯილი, აქედან ერთი გლდანის ციხეში გაატარა და ეგებ უდო-თი გამიშვანო, ოცნებობდა. პატიმარ №0578-ს უყვარდა ლევანის გვერდით ყოფნა, მხიარული ბიჭი იყო, იუმორის კარგი გრძნობა ჰქონდა, თუმცა ერთი ეგ იყო, არავინ აკითხავდა... არავინ მყავსო, ამბობდა, მაგრამ იმას კი აღარ აყოლებდა, რატომ იყო მარტო. რამდენჯერმე გაეხუმრნენ პატიმრები, ბავშვთა სახლში ხომ არ გაიზარდეო, მაგრამ ლევანს ამ ხუმრობაზე არ ეცინებოდა.

ერთ დღეს, მაშინ, როცა ლევანი და №0578 ყავას წრუპავდნენ და ლევანი სკოლის ამბებს იხსენებდა, კამერაში ნუგზარი შემოვიდა. ორივეს მიესალმა და №0578-ს ყავა სთხოვა. რა თქმა უნდა, პატიმარს უარი არ უთქვამს, სიგარეტის ცელოფანში გადაუყარა ორი „ზახოდი“ და ღიმილით მიაწოდა. როცა ნუგზარი კამერიდან გავიდა, ლევანმა წართმეული ხმით იკითხა: „ვინ არის ეს?!“

„ოოო... ეს ძველი პატიმარია, პატრიარქია, რა, პატიმრებში, სერიოზული კაცია... და შენ რა გჭირს, ფერი არ გადევს? საიდანმე გაგახსენდა?!“

„რა ჰქვია?“ — ისევ იკითხა ლევანმა.

„ნუგზარი. სხვა, ასაკოვანი პატიმრებივით, პაპას ვეძახით მაგასაც, მაგრამ ახალგაზრდობაში სხვა სახელი ექნებოდა ალბათ. და რა გჭირს-მეთქი“, — ფეხზე წამოდგა №0578, რადგან შეატყო, რომ ლევანი ამ ქვეყნის აღარ იყო.

„მაყურებლებთან წავიდეთ“, — წართმეული ხმით თქვა ლევანმა და შეიძლება ითქვას, №0578-მა ხელით ჩაიყვანა მაყურებლების საკნამდე.

„ნუგზარიც მოვიდეს“, — თქვა ლევანმა და ერთ-ერთი უხმოდ გავიდა ნუგზარის დასაძახებლად. ასაკოვანი პატიმარი მძიმედ შემოვიდა საკანში, იქაურებს თვალი მოავლო, ლევანს დააკვირდა, მაგრამ წარბიც არ შეტოკებია და ნარზე ჩამოჯდა. პატიმრებმა კარი ჩაკეტეს და მაყურებელმა მზერა ლევანს მიაპყრო.

„ამ კაცმა და კიდევ სხვებმა ჩემი ოჯახი ამოწყვიტეს. დააყაჩაღეს და მერე სახლ-კარი გადაწვეს. ყველა დაიწვა, მამაჩემი, დედაჩემი, ჩემი და-ძმა... მარტო მე გადავრჩი. ეს იყო, ზუსტად მახსოვს, ნიღაბი მოიხსნა გასვლამდე და იმის მიუხედავად, რომ გათეთრებულია, ვიცანი“, — ერთი ამოსუნთქვით თქვა ლევანმა.

№0578-მა ნუგზარს გახედა, მკვდრის ფერი ედო. მერე სიგარეტი ამოიღო ჯიბიდან, მოუკიდა და მძიმედ, მაგრამ მტკიცედ დაიწყო: „კარგია რომ შევხვდით. კარგი იმიტომ არის, რომ მეც მაქვს ერთი კითხვა. კითხვა, რომელიც მთელი ცხოვრებაა მაწვალებს, მაგრამ სანამ მაგ კითხვამდე მივალთ... ჰო, მე და ჩემი მეგობრები ვიყავით საყაჩაღოდ. რომ წამოვედი, ყველა დავაბით ამის გარდა. ამას უნდა აეშვა დაბმულები. მეორე დღეს გავიგეთ, ყველა ამოიბუგა და მხოლოდ ეს ბავშვი გადარჩაო. არ ვიცოდით, რა მოხდა. მერე დაგვიჭირეს, დახვრეტის მუხლი კბილებში გვეჭირა. ამათი ნათესავი იყო პოლიციელი. იმან დამადო იარაღი კეფაზე და გაისროლა. ტყვიები არ იდო, მაგრამ მაშინ გავთეთრდი. ახლა შენ გეკითხები, შენ უნდა მითხრა, იქ რა მოხდა, რადგან ჩვენ ცეცხლი არ წაგვიკიდებია და არა მგონია, ისეთი პატარა ყოფილიყავი მაშინ, ეგ ვერ გაიხსენო. ჩემი სახე გაიხსენე და წესით, ეგეც ადვილად უნდა გაიხსენო. რა მოხდა, მითხარი“, — ბოლო წინადადებაში მუდარა გაისმა.

ლევანმა არაადამიანურად იღრიალა, ადგილიდან წამოხტა და ნუგზარს ყელში სწვდა. ის არც განძრეულა, მაგრამ მაყურებლები მიცვივდნენ და გამოათრიეს.

„თუ დასახრჩობი იქნება ვინმე, შენს გარეშეც მოვახერხებთ. შენ ის მოყევი, მერე რა მოხდა? ამათ თუ არ წაუკიდეს ცეცხლი სახლს, ვინ წაუკიდა?“ — ჰკითხეს მაყურებლებმა, მაგრამ ლევანს ალბათ არაფერი ესმოდა, თავი ედო მუხლებზე და მოთქმით ქვითინებდა. გოდება კარგა ხანს არ გაჩერდა, ნუგზარი ნელ-ნელა წამოდგა, ოთახიდან გავიდა და თავის კამერისკენ წაჩანჩალდა. დაახლოებით ნახევარ საათში ლევანიც დამშვიდდა, არაფერი უთქვამს, კამერა მანაც დატოვა და №0578 უკან გაჰყვა. იმ დღეს კრინტი არავის დაუძრავს, მეორე დღეს კი №0578 ლევანს საკანში თავად ეწვია. გულაღმა იწვა ლევანი და სიგარეტს ეწეოდა. მთელი ღამე ასე გაატარაო, — თანასაკნელებმა უთხრეს.

„არაფრის თქმა არ გინდა? შენი გადასაწყვეტია, ისე, ეგ ამბავი, მეტყვი თუ არა“, — ფრთხილად შეაპარა №0578-მა. ლევანს არც იმ დღეს გაუღია ხმა და არც მომდევნო სამი დღის განმავლობაში. მხოლოდ წყალს სვამდა და მთლიანად ჩამოხმა. შემდეგ კი №0578-ის საკნის კარი შეაღო, ნარზე ჩამოჯდა, ტუმბოს ქვემოდან ყუთი გამოწია, ვაშლი ამოიღო და ჩაკბიჩა. №0578 უხმოდ უყურებდა, როგორ ჭამდა ლევანი ვაშლს, ხმას არ იღებდა და როცა ჭამას მორჩა, თავჩაღუნულმა დაიწყო.

„ხელები ისე მაგრად ჰქონდათ გაკოჭილი, თითებიდან სისხლი წვეთავდა. მამაჩემმა მითხრა, ვერ გახსნი, გაჭერიო. მაგარი თოკი იყო და ვერ გავჭერი. მაშინ სანთელი აანთე და სანთლით დაწვიო, მასწავლა მამამ. სანთელი ავანთე, მივადე თოკს და სანთლის ნაღვენთი ხელზე დამესხა. პატარა ვიყავი, გავაგდე ხელიდან სანთელი და წყლის საძებნელად გავიქეცი. მამაჩემის ხმა კი მესმოდა, მაგრამ მეგონა მამშვიდებდა, ბოლო ხმაზე ვტიროდი ტკივილისგან. ოთახში რომ დავბრუნდი, იქაურობა ცეცხლის ალში იყო გახვეული. წყლის მოსატანად წავედი, ვერ გავარჩიე სიბნელეში, ნავთის ბოთლი ავიღე, გავხსენი და რომ ვასხამდი... სწორედ მაშინ მეცა ნავთის სუნი, მაგრამ ხელი ვეღარ გავაჩერე და ცეცხლზე ნავთი მივასხი. როგორ გამოვედი გარეთ, არ მახსოვს, მარტო ის მახსოვს, რომ მეზობლები მოვიდნენ და შველას ცდილობდნენ. ვერცერთი ვერ გადაარჩინეს. მას შემდეგ ამ ნუგზარს ვეძებდი, ამის სახე ვიცოდი მარტო და სახელი. ვიფიქრე, რომ ვნახავ, მოვკლავ-მეთქი და ახლა, როცა დავინახე, მივხვდი, რომ ეს არაფერ შუაშია, მე, მე დავწვი ჩემები“, — ლევანს ისევ ტირილი აუტყდა, მერე წამოდგა და კამერიდან გავიდა.

№0578 ნუგზართან ჩავიდა, მონაყოლი უამბო. ცრემლი იმანაც ვერ შეიკავა. ამ ამბავს ველოდიო, თქვა და გადაბრუნდა. მეორე დღეს ნუგზარი სხვა ზონაზე გადაიყვანეს, ლევანი კი... მთელი სასჯელი ისე მოიხადა, კამერიდან თვეში ერთხელ თუ გამოვიდოდა...

ვერსიანიუსი

შსს-ს ინტერპოლმა ვისბადენის ინტერპოლის მიერ ძებნილი თურქეთის მოქალაქე დააკავა

საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ღონისძიების შედეგად, სარფის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტში, თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში შემოსვლისას, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1985 წელს დაბადებული ტაიფუნ კარაკაპლანი დააკავეს. აღნიშნული პირი ვისბადენის ინტერპოლის მიერ 19.06.2013 წლიდან საერთაშორისო დონეზე იძებნებოდა. მას გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 242-ე, 244-ე, 263-ე, 263 ა-ე, 267-ე, 22, 52, 53, 54 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა ედება ბრალად, რაც ქურდობას, ქურდობას საცხოვრებელში შეჭრით, თაღლითობას, კომპიუტერულ თაღლითობას ითვალისწინებს. ტაიფუნ კარაკაპლანმა ბანკში სესხის მიღების მიზნით, ხელფასის ცნობა და შრომითი ხელშეკრულება გააყალბა. დოკუმენტებში არსებულმა მთელმა რიგმა უზუსტობებმა გამოიწვია ეჭვი, რომ საბუთები გაყალბებული იყო და სესხის გაცემა არ განხორციელდა. ბრალდებულმა ასევე კუსტარულად დამზადებული გასაღების გამოყენებით საცხოვრებელ ბინაში შეაღწია და სხვადასხვა ნივთი მოიპარა; ასევე მოპარული საბანკო ბარათის გამოყენებით, პირადი სარგებლის მიღების მიზნით, ოთხჯერ განახორციელა საგადასახადო ოპერაცია, რის შედეგადაც 1 000 ევრო მიითვისა. ამჟამად ტაიფუნ კარაკაპლანის მიმართ კანონით გათვალისწინებული წინასაექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს.

შსს-მ სახანძრო უსაფრთხოების წესის დარღვევის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიმდინარე წლის მაისში, ქობულეთში, ერთ-ერთ სასტუმროში გაჩენილი ხანძრის გამომწვევი მიზეზები დაადგინა, რომელმაც სამი მოზარდის სიცოცხლე იმსხვერპლა და დამნაშავე პირი დააკავა. შსს-ს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ქობულეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1966 წელს დაბადებული ზაზა ა. სახანძრო უსაფრთხოების წესის დარღვევის ბრალდებით თბილისში დააკავეს. 2015 წლის 10 მაისს, გამთენიისას, ქობულეთში, აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე, ზაზა ა-ს. კუთვნილ, ე.წ. ხასანას სასტუმროში ხანძარი გაჩნდა. ამ დროს სასტუმროში იმყოფებოდნენ რუსთავის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „სიხარული-2“-ის წევრები, მათ შორის, არასრულწლოვნები, რომელთაგანაც სამი ადგილზე დაიღუპა. ქობულეთის რაიონული პოლიციის თანამშრომლებმა და მაშველებმა ალმოდებული შენობიდან 45 ადამიანი, მათ შორის 30 მოზარდი, გამოიყვანეს. საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში დაინიშნა სხვადასხვა სახის კომპლექსური ექსპერტიზა. საინჟინრო ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნულ სასტუმროში დარღვეული იყო სამშენებლო ნორმები და წესები, ხოლო სახანძრო-ტექნიკური ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ ხანძრის გაჩენა დაკავშირებული იყო ელექტროტექნიკურ გაუმართაობასთან. აღსანიშნავია, რომ ცეცხლის კერა მდებარეობდა იმ ოთახში, სადაც გარდაცვლილი მოზარდები იმყოფებდნენ. გამოძიება სახანძრო უსაფრთხოების წესის დარღვევის ფაქტზე მიმდინარეობს, რამაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია (საქართველოს სსკ-ს 243-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

შსს-ში ბავშვთა ძალადობისა და სექსუალური ექსპლოატაციისგან დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოსწავლეებთან შეხვედრა გაიმართა

შსს-ს სხვადასხვა დანაყოფის და განათლების და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებმა, შს სამინისტროს ინიციატივით, ბავშვთა ძალადობისგან დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, თბილისის 191-ე საშუალო სკოლის 44 უფროსკლასელ მოსწავლესთან საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრა გამართეს. შსს-ს წარმომადგენლები მოზარდებს ბავშვთა ძალადობის სხვადასხვა ფორმების, მათ შორის, ბულინგის შესახებ ესაუბრნენ, რომელიც გავრცელებულია სკოლის ასაკის ბავშვებში და ინფორმაცია მიაწოდეს იმ მძიმე დანაშაულების შესახებ, რომლებშიც შესაძლოა ბავშვები ჩართული იყვნენ, როგორც მსხვერპლნი. ასევე განიხილეს ბავშვთა ძალადობის ერთ-ერთი ფორმის — არასრულწლოვანთა ტრეფიკინგის და ონლაინ სექსუალური ექსპლოატაციის საფრთხეების საკითხები. შეხვედრის მონაწილეებმა მოზარდების შეკითხვებს ამომწურავად უპასუხეს. „112“-ის წარმომადგენელმა მოსწავლეებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ თუ ისინი გახდებიან ძალადობის ნებისმიერი ფორმის მსხვერპლი, თვითმხილველი ან თანამონაწილე, აუცილებლად უნდა დარეკონ „112“-ში, რათა მოხდეს შესაბამისი რეაგირება. შეხვედრაზე მოზარდებს შსს-ს მიერ ძალადობის წინააღმდეგ მომზადებული ვიდეორგოლები უჩვენეს. ღონისძიებას ესწრებოდნენ შსს-ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის პროექტების მართვის სამმართველოს უფროსი მაკა ფერაძე, შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგის და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების დეტექტივ-გამომძიებელი დიანა როსტიაშვილი, შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი „112“-ის ინსპექტირების სამსახურის მთავარი სპეციალისტი ირმა უტიაშვილი, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგი თეონა ჩიტიაშვილი.

„ვერსიანიუსი“



1. ვენეციური ნავი
2.უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელი
3.გაზვიადებ. დამყარ. მსატვრული ხერხი
4. გეოდეზიური ხელსაწყო
5. ძვირფასი მეტალი
6. შლამის თევზი
7. მთის მდინარეებზე დაშვება გას. ნავებით
8. მალარიის სამკურნალო ძველი წამალი
9. მდინარე ვოლგის შენაკადი
10. რუსი საბჭოთა მსახიობი იგორ ...
11. თავდამსხმელი ფეხბურთში
12. ფოსო თვალის ქვეშ
13. ირანული კულტურის შემსწავლ. მეცნიერება
14. იგივეა, რაც ბოქლომი
15. XIXს-ის ფრანგი კომპოზიტორი
16. დროის უკმარისობა ჭადრაკში
17.ტბა ჩრდილოეთ ამერიკაში
18. ჩინელი ფილოსოფოსი ...-ძი
19. მცენარეთა ჯიშების გაუმჯობესება
20. მოლეკულის შემადგენელი ნაწილი
21. იაპონელთა ჯიბის ყუთი
22. სამხრეთ კორეის დედაქალაქი
23. ნიგერიის ფულის ერთეული
24.პურში ხეულის მდებ. განმსაზღვ. აპარატი
25. გურამ ფანჯიკიძის რომანი
26. უუფლებო ადამიანი
27.ფრანგ. თოჯ. თეატრის მთავარი პერსონაჟი
28. მკვახე ყურძენი
29. ფრჩხილის შემად. ცილოვანი ნივთიერება
30.პატარა სისხლის-მწოველი მწერი
31. თბილისის ერთ-ერთი უბანი
32. დიდი ტანის მცოხნელი ცხოველი, ე.წ. ტიბეტური ხარი
33.მიწის საზომი ერთეული ინგლისში
34. საქონლის წვნიანი საკვები
35.ქალის კაბის გრძელი უკანა კალთა
36. დამატებითი ტონი მუსიკაში
37.ზიტას ტყუპისცალი და ინდურ ფილმში
38. თმის ერთგვარი საღებავი
39. ინგლისელი მწერალი და დრამატურგი სომერსეტ ...
40. მოციქ. პავლეს თავდაპირვ. სახელი
41. ვისიმე მეფობის ხანა
42.თოვლის დედოფლის ტყვე ბიჭუნა
43.ბგერის წყვეტილად გადმოცემა მუსიკაში
44. მყუდრო, უშფოთველი ცხოვრება
45.აშშ-ის ქალაქი ...-ანჟელესი
46. კიმონოს შესაკრავი ქამარი
47.მთის თუთიყუში
48. 1000 კგ
49. რუმინეთის ეროვნული ვალუტა
50.ხვალის მომდევნო დღეს ანუ ...
51. სალამურას მეგობარი გოგონა
52. ისტ. სოფელი ქარელის რაიონში
53. დიდი ცხოველის კიდური
54. სმენის არმქონე
55.პათოლოგიური პროცესის კერა
56. ნიგერის დედაქალაქი
57.ფოსო მკლავის მხართან შეერ. ადგილზე
58. მოკლენიჩიანი სპორტული ნავი
59. ორი წერტილი კამათელზე
60. საფრთხობელა
61.ბიზანტ. იმპერატორი
62. დაბალი ბუსუსები ქსოვილზე
63. ყინული - ინგლისურად
64. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
65.მნიშვნელოვანი აზრი, ჩანაფიქრი

წიგნი ტუალეტის ქაღალდზე



ამომავალი მზის ქვეყანაში ლიტერატურის გავრცელების უჩვეულო და მეტად ორიგინალური ხერხი გამონახეს. იაპონიის მთავრობამ გადაწყვიტა, მწერლობის პოპულარიზაციის მიზნით, საშინელებათა ჟანრის ნაწარმოები, რომელსაც „წვეთი“ ჰქვია, ტუალეტის ქაღალდზე დაბეჭდოს და საექსპორტოდაც გაუშვას. ნაწარმოების ავტორი ქვეყანაში ცნობილი მწერალი კოძი სუძუკია. მისი თხზულება 9 თავისგან შედგება, ის ინგლისურადაა ნათარგმი და ტუალეტის ქაღალდის 90-მეტრიან გრაგნილზე ეტევა. თავდაპირველად ის საზღვარგარეთ, აეროპორტებში, სუვენირების მაღაზიებში გაიყიდება, შემდეგ კი მასობრივად გამოუშვებენ. სუძუკის საშინელებათა ჟანრის ნაწარმოებები საკმაოდ პოპულარულია იაპონიაში და მათი მიხედვით არაერთი ფილმიც არის გადაღებული. ახალი მოთხრობა კი ავტორმა სპეციალურად ამ „ტუალეტის ქაღალდის“ პროექტისთვის დაწერა. იდეის ხელშემწყობი ქვეყნის ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროა. მისი წარმომადგენლების განცხადებით, თხზულებიანი ტუალეტის ქაღალდი სულ რაღაც 2,5 დოლარი ეღირება.

იდეალურ აღნაგობას ფეხზე დგომა უზრუნველყოფს

თუ ყოველდღე ადამიანი დაახლოებით 6 საათის განმავლობაში ფეხზე იქნება, შეუძლია დაივიწყოს ყოველგვარი დიეტა. ასეთ დროს ორგანიზმში ცხიმების 30% იწვება. ასეთ მოულოდნელ განცხადებას ამერიკელი სწავლულები აკეთებენ. მათ გამოკვლევა ჩაატარეს 7 ათას მოხალისეზე. ექსპერიმენტის ყოველ მონაწილეს უზომავდნენ წელის გარშემოწერილობას, ცხიმების რაოდენობას და სხეულის მასას. აღმოჩნდა, რომ მამაკაცებს, რომლებიც დღის მეოთხედ ნაწილს ფეხზე ატარებენ, ზედმეტი ცხიმების დაგროვების მცირე ალბათობა აქვთ, თანაც, ასეთი რეჟიმით, უკვე არსებული ცხიმოვანი ქსოვილი თითქმის მესამედით მცირდება. ხოლო თუკი მამაკაცები ნახევარ დღეს ატარებენ ფეხზე, ზედმეტი წონის წარმოშობის რისკი 50%-ით მცირდება. რაც შეეხება სუსტ სქესს, მათაც შეუძლიათ დიდხანს ფეხზე დგომით თავი აარიდონ სიმსუქნეს. ამ მეთოდის დადებითი გავლენა ორგანიზმზე ავსტრალიელმა სწავლულებმაც დაადასტურეს — მათი კვლევებით გაირკვა, რომ დიდხანს ფეხზე მდგომი ადამიანები გაცილებით ნაკლებად ავადდებიან სერიოზული დაავადებებით და ნაკლებად უვითარდებათ შაქრიანი დიაბეტი.

21 მილიონის კომპენსაცია კარის დარტყმის გამო

ამერიკელმა მამაკაცმა, ჯეიმს ჰაუსმანმა 21,5 მილიონი დოლარი მოუგო კომპანიას, რომელიც საზღვაო კრუიზებს აწყობს. სასამართლომ ამ თანხად შეაფასა ლაინერ „ამსტერდამზე“ გაფუჭებული კარის დარტყმა. ინციდენტი სექტემბერში მოხდა, როცა 57 წლის ჰაუსმანი გემით მსოფლიოში სამოგზაუროდ გაემართა. ლაინერიდან გამოსასვლელად ავტომატური კარია დაყენებული, რომელიც ადამიანის მიახლოებისას იღება, გავლისას კი იკეტება. სწორედ ამ კარისგან მიიღო დარტყმა თავში ჰაუსმანმა. სამედიცინო გამოკვლევით დადგინდა, რომ დაზარალებულმა ტვინის შერყევა მიიღო და კბილებიც დაებზარა. თუმცა, ამის მიუხედავად, ჯეიმსმა შეძლო მოგზაურობის დასრულება, შემდეგ კი სასამართლოს მიმართა კომპენსაციის მოთხოვნით. მისი ადვოკატები ამტკიცებდნენ, რომ ჰაუსმანს ამ დარტყმის გამო რეგულარული თავბრუსხვევები აქვს და კრუნჩხვები ემართება. მოსამართლემ დაზარალებულის მხარე დაიჭირა და კომპანიას 21,5 მილიონი დოლარის კომპენსაციის გადახდა დაავალდებულა.

სუდოკუ ფანია

ადვილი

				7	6	4		5
			5					
	6		4		8			2
	3	2	9			8	7	
	5	6			2	3	9	
4			8		9		2	
					4			
5		8	2	1				

სტანდარტი

								1
	3		7	1		2	9	
		1	8	3				
5		9			4		8	
4		7				6		5
	6		1			4		9
				6	7	9		
	7	5		9	8		6	
9								

რთული

		7	8			1		4
1								
			3			9	7	
	4		9		2	5		1
5								2
2		8	1		3		6	
	8	2			4			
								6
3		1			9	2		

ექსპერტი

		6			5		3	
		4			3			6
8	3							
1		5	8		6		4	
			5		1			
	2		4		9	6		1
							9	4
5			2			3		
	4		1			7		

ლუდი ეინეჭაის ანსაცეჭს

თუკი დავუჯერებთ ინგლისელებს, რომელთაც ერთდროულად რამდენიმე ექსპერიმენტი ჩაატარეს სხვადასხვა სახის ლუდზე, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ მეხსიერების დაკარგვისა და გონებასუსტობის მიზეზი ეს ქარვისფერი სასმელია. მკვლევარების ცდებში 5 ათასი მამაკაცი და სუსტი სქესის 2 ათასი წარმომადგენელი მონაწილეობდა, რომელთა ასაკი 65 წლამდე იყო. შედეგად ბრიტანელმა სწავლულებმა დაასკვნეს, რომ ლუდთან დაკავშირებით შეგვიძლია ვილაპარაკოთ არა მხოლოდ მეხსიერების დარღვევაზე, არამედ მთლიანად ადამიანის გონებრივი შესაძლებლობების დაქვეითებაზე და რაც ყველაზე ცუდია — ტვინის ქსოვილებში წარმოშობილ ნეგატიურ პროცესებზე. ექსპერიმენტების შედეგებზე დაყრდნობით, მკვლევარები გვაფრთხილებენ, რომ ამ ქარვისფერი სითხის დღიური დოზა სულ 35 გრამია. თუ ამ ნიშნულს გადავაჭარბებთ, თავის ტვინის ქერქში იწყება დამანგრეველი პროცესები. მეხსიერებასთან დაკავშირებული პრობლემები ლუდის მოყვარულებს 6 წლით ადრე ეწყებათ იმათთან შედარებით, ვინც საერთოდ არ სვამს ამ სასმელს.

სალეჭი ყავა შეექმნეს

დაკავებულ ადამიანებს ხშირად სჭირდებათ გამხნევება, მაგრამ არ აქვთ საშუალება, ერთი ფინჯანი ყავა მიირთვან. სწორედ ასეთი შემთხვევებისთვის შეიმუშავა ამერიკულმა კომპანიამ Nootrobox ყავა საღეჭი კანფეტების, მარმელადის სახით, რომელიც ადამიანს შეუძლია სულ თან ჰქონდეს და საჭირო დროს გამოიყენოს. ყოველი კუბიკი 50 გრამ კოფეინს, „ბე“-ჯგუფის ვიტამინებსა და ფოლიუმის მჟავას შეიცავს. ელემენტების ეს ნაკრები საკმარისია იმისთვის, რომ ადამიანმა რამდენიმე საათით მხნედ იგრძნოს თავი. ყავის კუბიკები სამ ვარიანტად გამოუშვეს — შავი ყავა, ლატე და ყავა შოკოლადით. სიახლის ავტორებს მისი წარმოებისთვის 20 ათასი დოლარი სჭირდებოდათ, თუმცა სტარტაპების საიტზე საჭირო თანხაზე 14%-ით მეტი მოგროვდა და უახლოეს პერიოდში ყავის კუბიკები აშშ-ს მაღაზიის დახლებზე გამოჩნდება, 24-კუბიკიანი შეფუთვა კი, სავარაუდოდ, 20 დოლარამდე ეღირება.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

5	4	7	1	9	8	3	2	6
3	2	1	4	7	6	9	8	5
9	6	8	5	3	2	4	1	7
7	8	6	3	5	4	2	9	1
4	1	9	8	2	7	6	5	3
2	5	3	6	1	9	8	7	4
8	9	5	7	6	3	1	4	2
6	7	4	2	8	1	5	3	9
1	3	2	9	4	5	7	6	8

სტანდარტი

2	3	1	7	9	8	6	5	4
8	5	7	2	4	6	9	1	3
9	6	4	5	3	1	8	7	2
1	2	9	6	8	3	5	4	7
7	8	5	4	2	9	3	6	1
6	4	3	1	7	5	2	9	8
5	1	2	3	6	7	4	8	9
4	9	6	8	1	2	7	3	5
3	7	8	9	5	4	1	2	6

რთული

8	2	9	7	4	5	3	6	1
1	6	4	2	3	9	8	7	5
7	5	3	1	6	8	4	9	2
2	4	8	6	1	7	5	3	9
3	9	1	8	5	4	7	2	6
5	7	6	3	9	2	1	4	8
6	8	7	5	2	3	9	1	4
4	3	2	9	8	1	6	5	7
9	1	5	4	7	6	2	8	3

ექსპერტი

9	8	4	3	5	2	6	1	7
7	2	6	9	1	8	4	3	5
5	3	1	7	4	6	2	9	8
1	9	5	8	7	4	3	6	2
2	6	8	5	3	1	9	7	4
4	7	3	6	2	9	5	8	1
3	4	2	1	9	7	8	5	6
6	1	9	4	8	5	7	2	3
8	5	7	2	6	3	1	4	9

მე-10 გვერდი: 1. ბიზანტია; 2. ისააკი; 3. აფთიაქი; 4. ტივი; 5. პროგრესი; 6. რახმანინოვი; 7. განდაგანა; 8. ეპარქია; 9. ქალთევზა; 10. ისპანახი; 11. პეტარდა; 12. ფოსტა; 13. ცხინვალი; 14. ნელი; 15. რომი; 16. იდიოტია; 17. პაიკი; 18. მადა; 19. ანარქია; 20. ნოე; 21. აკინი; 22. პიტ; 23. რვალი; 24. „როლექსი“; 25. ორმო; 26. ირისი; 27. დიოგენე; 28. ალო; 29. ოდეონი; 30. მუსოლინი; 31. ინინი; 32. იამალი; 33. ნარვა; 34. კლიო; 35. დემეტრა; 36. ორესტე; 37. ფორდი; 38. ვაიდა; 39. ვაშლი; 40. ანცი; 41. ნილოსი; 42. ოკეი; 43. ავი; 44. ტბა; 45. კორა; 46. ეტა; 47. ახტალა; 48. ალამი; 49. ბაო; 50. ტოკაი; 51. ელი; 52. რიფი; 53. ბილიკი; 54. ებრო; 55. იქსი; 57. სიმპათია; 58. ინო; 59. ცხრა; 60. შალი; 61. ენა; 62. ახო; 63. შიიზმი; 64. ია; 65. სარდალი.

ოჯახის დამანგრეველი პროფესიები

როგორც ბრიტანელი მკვლევარები ამტკიცებენ, განქორწინების რისკის გამოითვლა შესაძლებელია. მათი თქმით, ყველაზე არასაიმედო პრტნიორები ოჯახურ ცხოვრებაში ისინი არიან, რომელთაც სამსახურის ვალდებულებებიდან გამომდინარე, ხშირი კონტაქტი უწევთ სხვა ადამიანებთან. სხვებზე მზრუნველი პროფესიების წარმომადგნლები ბევრ ძალასა და ენერგიას ხარჯავენ გარეთ და ამით ოჯახურ ურთიერთობებს აზარალებენ. ფსიქოლოგებმა გამოითვალეს, რომ განქორწინების ყველაზე დიდი ალბათობა (40%-ზე მეტი) ბალერინებს, მასაჟისტებსა და ბარმენებს შორისაა. ასეთივე რისკის ჯგუფში არიან მედდები და ფსიქიატრები. 20%-იანი რისკი დააფიქსირეს მდივნებში, მზარეულებსა და მათემატიკოსებში. კიდევ უფრო ნაკლებია (16%) განქორწინების ალბათობა მასწავლებლებში, მეხანძრეებსა და მწერლებში. 12%-იან ნიშნულს უტოლდება სასამართლო ორგანოებისა და სარიტუალო ფირმების თანამშრომელთა რისკი. დანტისტები, ორთოპედები და ღვთისმსახურები კი ყველაზე ნაკლებად „ღალატობენ“ ოჯახს სამსახურის გამო.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, მარიკა ლომიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

ბატონიშვილების უახლესი ისტორიის არქივები და ქართველი ბავშვების თანადგომა

რომანოვების სამეფო სახლის ვლადიმერ კირილეს-ძე რომანოვისათვის ნაჩუქარი ხატი (პირველი საჩუქარი) 1917 წელს, რომელიც წლების შემდეგ დაუბრუნდა საქართველოს სამეფო სახლს

ბაგრატიონთა საგვარეულო, რომლის წარმოშობაც ებრაელთა მეფის, დავითის სახელს უკავშირდება, ღვთისგან მინიჭებული ამ ძალაუფლებით ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან ერთად, მრავალი საუკუნის განმავლობაში განაგებდა საქართველოს. ბაგრატიონები ტახტზე პირველად VI საუკუნეში ავიდნენ და 1811 წლამდე მართავდნენ ქვეყანას. არიან იმერელი ბაგრატიონები („ბაგრატიონ-იმერეტინსკები“) და კახთბატონი ბაგრატიონები („ბაგრატიონ-გრუზინსკები“). მათ გარდა, არსებობს ბაგრატიონთა მესამე, უფრო სწორად კი, პირველი შტო — ბაგრატიონ-მუხრანელთა („ბაგრატიონ-მუხრანლები“), რომლებიც საქართველოს ერთიან მეფეთა პირდაპირი შტოს შთამომავლები არიან.

ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ, 1921 წელს, ბაგრატიონ-მუხრანელებს საქართველოს დატოვება მოუხდათ. უცხოეთში ცხოვრობდა გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელი და მისი შვილი, შემდგომში საქართველოს ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ბაგრატიონთა სამეფო სახლის მეთაური ევროპაში, ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელი, რომლის გარდაცვალების დღეც რამდენიმე დღის წინ საგვარეულო ფოტომასალის გამოფენით აღინიშნა ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელი ჯერ იტალიაში ცხოვრობდა, სადაც გრაფის, ჰუგო პასკუინის ასულზე, მარია ანტუანეტზე დაქორწინდა და შეეძინა შვილი გიორგი (ხორხე) ბატონიშვილი. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, ირაკლი ბაგრატიონი ესპანეთში გადავიდა საცხოვრებლად. ასე რომ, დღევანდელ ბაგრატიონთა სისხლში ევროპელი მონარქების წარმომადგენელთა სისხლიც ჩქეფს. 1939 წელს, ირაკლი ბატონიშვილმა დააარსა, ევროპაში ფართოდ ცნობილი რაინდული „მაცხოვრის კვართის ორდენი“, რომლის პირველი დიდოსტატი (Grand Master) თავადი იყო.

ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელი, ქართველ ემიგრანტთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, აირჩიეს ქართული ემიგრაციის წინამძღოლად და აღიარეს საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრედ, თუკი ქართველი პატრიოტები შეძლებდნენ ბოლშევიკური რეჟიმისგან სამშობლოს გათავისუფლებას და კონსტიტუციური მონარქიის დამყარებას. საქართველოს სამეფო სახლი სცნო ევროპის თითქმის ყველა, მმართველმა თუ არამმართველმა სამეფო სახლმა, ასევე — რომანოვების რუსეთის საიმპერატორო სახლმა, რომელმაც მას 1801 წელს ჩამორთმეული ტიტული (Царь Грузии) დაუბრუნა.

ირაკლი ბაგრატიონის გარდაცვალების შემდეგ, 1977 წლიდან, საქართველოს სამეფო სახლის მეთაური გახდა გიორგი (ხორხე) ბაგრატიონ-მუხრანელი. მისი გარდაცვალების შემდეგ, 2008 წლიდან კი საქართველოს სამეფო სახლს მეთაურობს მისი სამეფო უმაღლესობა, ბატონიშვილი დავით ბაგრატიონ-მუხრანელი. დავით ბატონიშვილს ჰყავს უფროსი და მარია ანტუანეტა, უფროსი ძმა ირაკლი და უმცროსი ნახევარძმა გურამი (უგო). დავითი თბილისში 2003 წელს დასახლდა, ხოლო 2004 წელს ორმხრივი მოქალაქეობა მიიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში გამოიფინა ბაგრატიონთა ოჯახის ფოტოები, მათი კუთვნილი ნივთებისა და საოჯახო რელიქვიების ფოტოები. საღამოს გურამ-უგო ბაგრატიონ-მუხრანბატონიშვილი წარუძღვა.

საქართველოს სამეფო სახლის თანამდგომის და სამართლის დოქტორის დავით ჩიკვაიძის განცხადებით, ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელმა ემიგრაციაში ევროპულ სამეფო სახლთა დარად დააარსა საქართველოს სამეფო სახლის ორდენები: „უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტეს უკერველი კვართის“, „საქართველოს არწივის“, „თამარ მეფის“ და „სამეფო გვირგვინის ორდენი“.

„სამეფო ორდენი არ უნდა აგვერიოს მედლებში ან იმ ორდენებში, რომლებსაც მედლების სახით გასცემენ სახელმწიფოები. ეს ერთგვარი ორგანიზაციაა, რომლის წევრიც ვალდებულებებს იღებს ორდენისა და მისი მეთაურის წინაშე. ათწლეულების განმავლობაში, საქართველოს სამეფო სახლმა შეუძლებელი შეძლო — სამეფო ორდენს წარმომადგენლობანი მეტ ქვეყანაში ჰყავს, ვიდრე საქართველოს აქვს საელჩოები. ეს უნიკალური, უპრეცედენტო ფაქტია. ეს არის ჩვენი ეროვნული სიმდიდრე, გრძელვადიანი ინვესტიცია, რომელიც შექმნა ჩვენმა სამეფო გვარმა და რომელიც საქართველომ სასიკეთოდ უნდა გამოიყენოს. სამეფო ორდენის წევრს რაინდი ეწოდება. სამწუხაროდ, ბოლო დროს, ეს ტერმინი, ერთგვარ ქილიკს იწვევს. „ორდენის კავალერი“ „ორდენის რაინდია“, რადგან „კაბალიერო“ ესპანურ ენაზე რაინდს ნიშნავს. არსებობს რაინდთა და, ზოგადად, ორდენის წევრთა ერთგვარი საფეხურები. მაგალითად, საქართველოს არწივის ორდენში უმაღლესი წოდება ორდენის დიდი ყელსაბამის რაინდია. საინტერესოა მიმართვის ფორმებიც: თუ სამეფო სახლის წარმომადგენელი (მეთაური) მართავს ქვეყანას, იწოდება მის უდიდებულესობად. სხვა შემთხვევაში, მეთაურიცა და წევრიც — მის სამეფო უმაღლესობად (მსუ). ყველა ბაგრატიონი არ არის სამეფო სახლის წევრი. სამეფო სამი შტოს წარმომადგენელი და ისიც, მხოლოდ პირდაპირი ხაზის, შეიძლება იწოდებოდეს მის სამეფო უმაღლესობად და სამეფო ოჯახის წევრად. დანარჩენი ყველა, სამეფო გვარის წარმომადგენელია და მას, მონარქისტული თვალთახედვით, განსაკუთრებული სტატუსი არ აქვს“, — განაცხადა დავით **ჩიკვაიძემ.**

როგორც საქართველოს სამეფო სახლის თანამდგომმა აღნიშნა, 70 წლის განმავლობაში, საბჭოთა პროპაგანდისტული

ბატონიშვილ მარიამის მიერ შექმნილი ნახატი გულაგის ციხეში (მაგადანი). საღებავები დამზადებულია იქ მოპოვებული ბოსტნეულისა და მცენარეებისაგან. ბატონიშვილი მარიამი ნახატს 8 წელი მალავდა ციხეში

მანქანა ცდილობდა ქართველს სამეფო გვარის მიმართ დამოკიდებულება შეცვლოდა. მცდარია მოსაზრება, თითქოს სამეფო სახლი, სახელმწიფოსთვის წურბელების მორიგი ჯგუფია. პირიქით, სამეფო დინასტია, ემსახურებოდა საქართველოს და ყოველთვის ასე იქნება: **„სამეფო სახლმა ბევრჯერ დაამტკიცა — მათთვის საამაყო მხოლოდ ისაა, რომ მათი წინაპრები დავით და თამარ მეფეები იყვნენ. ისინი დღესაც ემსახურებიან საქართველოს ინტერესებს. თუ სადმე ამას სათანადოდ თუ ვერ ახერხებენ, მიზეზი ისაა, რომ საზოგადოება არ ანიჭებს მათ დიდ მნიშვნელობას. ცხადია, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ საქართველოში ყველა მონარქისტი იყოს, მაგრამ არ შეიძლება, არ გრძნობდე ამ გვარის, ოჯახის მნიშვნელობას და მათ გავლენასა თუ კავშირებს არ იყენებდე სამშობლოს საკეთილდღეოდ“.**

გამოფენა არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა თანადგომის“ და მისი ხელმძღანელის, შორენა ტაბატაძის ორგანიზატორობით მოეწყო. მხარდამჭერი კი გახლდათ სა-

ევროკავშირის ელჩის იანოშ ჰერმანის მეუღლე, გამოფენის მხარდამჭერი ხათუნა ჩარკვიანი, მ.ს.უ გურამ ბატონიშვილი და საქართველოს სამეფო სახლის თანამდგომი დავით ჩიკვაიძე

პარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ პრესსპიკერი, **ხათუნა ჩარკვიანი,** რომელმაც ღონისძიების მნიშნელობაზე ისაუბრა: **„ეს არის პირველი მცდელობა, ქართულმა საზოგადოებამ უფრო ფართოდ გაიგოს ამ მნიშვნელოვანი ოჯახის როლის შესახებ ქართული სახელმწიფოს წინაშე. ბატონიშვილ დავით ბაგრატიონ მუხრანბატონთან პირადი მეგობრობა მაკავშირებს, რომელიც ჯერ კიდევ დიასპორის სამინისტროდან დაიწყო. ბატონიშვილი დავითი ქართული დიასპორის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია. საქართველოში ამ ოჯახის მიმართ ინტერესი ყოველთვის არსებობდა. ისტორიაში და ქვეყნის დღევანდელ საზოგადებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ამ ოჯახის როლი უმნიშვნელოვანესია. საინტერესო იქნება, მისი წევრების აქტივობების პოპულარიზაცია მეტად მოხდეს. ამიტომ გაგვიჩნდა ამ ღონისძიების მოწყობის იდეა. გამოფენა მიეძღვნა ბატონიშვილ ირაკლის გარდაცვალების 38 წლისთავს“.**

ხათუნა ჩარკვიანისვე განმარტებით, ბატონიშვილს, როგორც საქართველოს მოქალაქეს, სურს აქტიურად ჩაერთოს როგორც არასამთავრობო აქტივობების კუთხით, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ხელისუფლების წარმომადგენლებთან ურთიერთობის თვალსაზრისითაც. საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ პრესსპიკერმა იმ საქველმოქმედო პროექტების შესახებაც ისაუბრა, რომლეშიც დავით ბატონიშვილი უკვე აქტიურადაა ჩართული: **„მე და ორგანიზაციებმა „ქალთა თანადგომა“ და ემიგრაციის ინფორმაციისა და განვითარების საერთაშორისო ცენტრი „ხიდი“, ერთობლივად დავიწყეთ პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორებს შორის თანამშრომლობას. პროექტს, რომელსაც ეწოდება „დევნილთა, მზრუნველობამოკლებულთა, სოციალურად დაუცველთა და მრავალშვილიანი ოჯახების სამოქალაქო განათლების და ჩართულობისათვის“, საინტერესო აქტივობები მოჰყვა და დავით ბატონიშვილი აქტიურად ჩაერთო. მან, საერთაშორისო ფონდ Ritz Foundation-ის მეშვეობით მოიძია საჭირო თანხა და წეროვანის დევნილ ბავშვთა ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ორი ანსამბლი, „ივერია“ და „მომავალი თაობა“ წავიყვანეთ ესპანეთში, ქალაქ ლორეტ დე-მარის საერთაშორისო ფესტივალზე. ბავშვებმა ფესტივალზე პირველი ადგილი დაიკავეს და რაც მთავარია, მათი სოციალურ-ფსიქიოლოგიური რეაბილიტაცია მოხდა. რომ არა ბატონიშვილის, კულტურის სამინისტროს, „საქართველოს რკინიგზის“ და „ქართული ოცნების“ ძალისხმევა, რთული იქნებოდა ამ პროექტის განხორციელება.**

დავით ბატონიშვილი ასევე აქტიურად გვიდგას მხარში მეორე მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებაშიც, რომელიც ითვალისწინებს ჩვენი თანამოქალაქე, აზერბაიჯანელი ბავშვების გამგზავრებას ლორეტ დე-მარის საერთაშორისო ფესტივალზე. ეს ბავშვები არიან ქალაქ მარნეულიდან, არაჩვეულებრივად საუბრობენ, ცეკვავენ და მღერიან ქართულად. ჩვენი ქვეყნის აზერბაიჯანელი ბავშვების ჩართულობს საქართველოს საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ვფიქრობთ, ბავშვებს ამ ფესტივალზე გარანტირებული აქვთ პირველი ადგილი. პროექტში ასევე ჩართულია მარნეულის გამგეობა და პარლამენტის დეპუტატები“.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა თანადგომის“ ხელმძღვანელმა **შორენა ტაბატაძემ** გამოფენილი ფოტოსურათების ისტორია გაგვაცნო და გამოფენის მნიშვნელობაზეც გაამახვილა ყურადღება: **„ქალთა თანადგომა“ მჭიდროდ თანამშრომლობს დავით ბატონიშვილთან. მისი ქველმოქმედებით არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განვახორციელეთ. მომავალშიც იგეგმება სერიოზული პროექტები. მნიშვნელოვანია ამ გამოფენის არსი — ქართული საზოგადოებისთვის საინტერესო უნდა იყოს იმ სამეფო კარის წარმომადგენლების უახლესი ისტორია, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში მართავდნენ და საკუთარი სისხლით იცავდნენ საქართველოს, ასევე მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ გაიგოს დავით ბატონიშვილის ქველმოქმედების შესახებაც. იმედია, კიდევ არაერთხელ შევძლებთ ამ საინტერესო მასალების წარდგენას“.**